# გაუფრთხილდით საქართველოს!



**გამარჯვების მიუხედავად, 2 ოქტომბრის არჩევნები მწარე გაკვეთილი უნდა გახდეს „ოცნებისთვის“, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაარჩიოს მტერი და მოყვარე! ქართველმა ხალხმა კიდევ სამწლიანი მანდატი მიანიჭა მას ქვეყნის სამართავად!**


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ორშაბათი, 4 ოქტომბერი. 2021წ. №183 (9302) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


## ალბერტ ჯონსონი: არჩევნები კარგად მართული იყო, მაგრამ...



**„2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები კარგად მართული იყო, მაგრამ ის გაიმართა კრიზისის ფონზე და პერიოდში, რომელიც ხასიათდებოდა მკვეთრი პოლარიზაციით“,** — განაცხადა ეუთო/ოდირის საარჩევნო-სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა ალბერტ ჯონსონმა შემაჯამებელ კონფერენციაზე. მისი თქმით, კანდიდატებმა შეძლეს კამპანიაში მონაწილეობა მიეღოთ თავისუფლად, კონკურენტულ გარემოში.

**„ფართოდ გავრცელებული და თანმიმდევრული იყო ბრალდებები, რომლებიც უკავშირდებოდა ხმების მოსყიდვას, კანდიდატებისა და ამომრჩევლების დაშინებასა და არათანაბარ გარემოს. საარჩევნო მზადების პროცესი გახლდათ გამჭვირვალე და პროფესიონალურად მართული. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ეროვნულ პრობლემებზე. მრავალფეროვანი მედიალანდშაფტი იყო მკვეთრად პოლარიზებული. ამბები მცირე ანალიტიკურ ჭრილში შუქდებოდა“,** — აღნიშნა ალბერტ ჯონსონმა.



## ბერიას აჩრდილი ნაციონალურ პოლიტიკაში

④

## რა ჯდება არჩევნები და რამდენს დავზოგავთ მისი გაციფრულებით

③

## ევროპაში ენერგოკრიზისი იწყება, საქართველოში კი - მორიგი გაძვირება!

⑥

## მეცნიერებმა შექმნეს კანზე „დასაწებებელი ვაქცინა“, რომელიც ნემსზე უფრო ძლიერ იმუნურ პასუხს წარმოქმნის

⑦



## გიორგი კალანდარიშვილი: საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია



ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიას მადლობას უხდის საარჩევნო პროცესის შეფასებისთვის. **„საარჩევნო ადმინისტრაციისთვის და პროცესისთვის, საერთაშორისო დამკვირვებლების როლი და შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ჩვენ ყურადღებით განვიხილავთ და გავითვალისწინებთ მათ მიერ გამოთქმულ რეკომენდაციებს არჩევნების მეორე ტურისთვის“.**

## ჩვენი სოციალური ტრაგედია



## 622 266 საარსებო შემწეობის მიმღები ადამიანი და მუშახელის საყოველთაო დეფიციტი

⑥

## როგორ გამოეხმაურა უცხოური პრესა მიხეილ სააკაშვილის დაკავებას?!



⑧

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ნაციონალური მოძრაობა“ და დესტრუქციული ძალები კიდევ ერთხელ, უკვე მერვედ დამარცხდნენ ქართველ ხალხთან და „ქართულ ოცნებასთან“ ბრძოლაში



მინდა, პირველ რიგში, ჩვენს მოსახლეობას მივულოცო არჩევნების წარმატებულად ჩატარება. არჩევნები ჩატარდა წარმატებულად მშვიდ, სამართლიან გარემოში და საერთაშორისო დამკვირვებლების მხრიდან ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურად შეფასდა.

**„ქართულმა ოცნებამ“ მთელი საქართველოს მასშტაბით დამაჯერებლად გაიმარჯვა და 47%-იანი შედეგით კიდევ ერთხელ მოიპოვა მოსახლეობის ნდობა და მართვის მანდატი. ამისთვის მინდა, ჩვენი გულწრფელი მადლობა გადავუხადოთ მოსახლეობას, ჩვენს ამომრჩეველს კიდევ ერთხელ გამოცხადებული ნდობისა და მართვის მანდატის დამტკიცებისთვის. დიდი პატივი და დიდი პასუხისმგებლობაა“,** — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ოპოზიციამ ვერ შეძლო სასურველი მიზნისთვის მიეღწია, რითაც ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის პროვოცირებას შეეცდებოდნენ.

**„ნაციონალური მოძრაობა“ და დესტრუქციული ძალების კიდევ ერთხელ, უკვე მერვედ დამარცხდნენ ქართველ ხალხთან და „ქართულ ოცნებასთან ბრძოლაში. ოპოზიციამ ვერ შეძლო მიეღწია სასურველი მიზნისთვის და მათ ვერ დააფიქსირეს ის შედეგი, რომლითაც შეეცდებოდნენ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის პროვოცირებას და არეულობის შემოტანას“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.



# სალომე ზურაბიშვილი: არჩევნები მშვიდ, სამართლიან, უსაფრთხო გარემოში ჩატარდა

**არსებული რთული პოლიტიკური და პოლარიზებული წინასაარჩევნო გარემოს მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მშვიდ, სამართლიან, უსაფრთხო და კონკურენტუნარიან გარემოში ჩატარდა, მნიშვნელოვანი დარღვევების გარეშე,** — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის განცხადებაშია ნათქვამი.

სალომე ზურაბიშვილის თქმით, ჩვენი ქვეყნისთვის ეს დღეს კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას და დატვირთვას იძენს, რამეთუ ჩვენკენ არის მომართული ჩვენი პარტნიორების და მეგობრების ყურადღება.

**„ჩატარებული არჩევნები ხვალინდელი დღისთვის ბევრი რამის განმაპირობებელი და განმსაზღვრელია. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო და მსურს, ყველა მოქალაქეს ამისათვის მადლობა გადავუხადო. მნიშვნელოვანი იყო ამომრჩეველთა აქტივობა. საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებები ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია.**

**ქართველმა ხალხმა გუშინ არჩევნებში თავისი მონაწილეობით აჩვენა, რომ მისი არჩევანი არის მშვიდობა, სტაბილურობა და არა არეულობა, არა დაპირისპირება, არა ძალადობა და პოლარიზაცია. თუ რამე ცვლილებებია საჭირო, სწორედ ამისთვის არსებობს ეს გზა — არჩევნების გზა. ამომრჩეველმა ეს ყველას ნათლად დაანახა.**

**ეს არჩევნები ასევე გამორჩეული იყო პატარა პარტიების მონაწილეობის სიმრავლით, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკური გარემოს მრავალფეროვნებისთვის. აღსანიშნავია უსაფრთხო საარჩევნო პროცესი. პანდემიის მიუხედავად უსაფრთხო არჩევნები ჩატარდა, საარჩევნო უბნებთან იყო მოქალაქეების მოწესრიგებული რიგები, კოვიდრეგულაციების დაცვა და სამოქალაქო მაღალი პასუხისმგებლობა. მე მინდა, ასევე, საარჩევნო ადმინისტრაციას ამისთვის მადლობა მოვახსენო. ეს არჩევნები არის მტკიცებულება, რომ საქართველოს მოქალაქეებს სურთ მშვიდ, საქმეზე ორიენტირებულ გარემოში გაგრძელდეს ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება და მართვა“.**

# კახა კალაძე: ვფიქრობდი, რომ პირველივე ტურში გავიმარჯვებდით

**გულწრფელად ვიტყვი, ვფიქრობდი, რომ პირველივე ტურში გავიმარჯვებდით,** — ამის შესახებ დედაქალაქის მერობის კანდიდატმა კახა კალაძემ პარტია „ქართული ოცნების“ ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.



**„გულწრფელად ვიტყვი, ვფიქრობდი, რომ პირველივე ტურში გავიმარჯვებდით, ამის ყველა წინაპირობა არსებობდა. თუმცა, ბოლო დღეების განმავლობაში ბევრი რაღაც შეიცვალა. ახლა არ დავიწყებ ამის ახსნას, მთავარია სწორი ანალიზის გაკეთება, მომზადება მეორე ტურისთვის და წინ გამარჯვებისკენ“,** — თქვა კალაძემ.

**„მინდა, მადლობა გადავუხადო თითოეულ თბილისელს, ყველა იმ ადამიანს, ვინც არჩევნებზე მოვიდა და მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი ვალი. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მხარდამჭერებს, ჩემს თანაგუნდელებს, ყველა იმ ადამიანს, ვინც პირველივე დღიდან მუშაობდა და ჩართული იყო ამ საარჩევნო პროცესში. მე პატივს ვცემ ამომრჩეველთა ნებას და ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რომელსაც თბილისელები საარჩევნო ყუთთან მიიღებენ. შეიძლება, მეც რაღაც დავაკელი ამ პროცესს. შესაძლოა, მუშაობის პროცესში ყველა აქტუალურ საკითხზე ვერ გავამახვილე შესაბამისი ყურადღება, ამისთვის ბოდიში, მაგრამ მზად ვარ, მივიღო მონაწილეობა მეორე ტურში და დარწმუნებული ვარ, თბილისელების მხარდაჭერითა და თანადგომით, ჩვენ შევძლებთ გამარჯვებას“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

მისი თქმით, მთელი საქართველოს მასშტაბით „ქართულმა ოცნებამ“ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

**„ძალიან ვაფასებ იმ ნდობას, რომელსაც გამოხატავთ ჩემ მიმართ. ჩვენ მთელი საქართველოს მასშტაბით მოვიპოვეთ დამაჯერებელი გამარჯვება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. დაიდო 48%-იანი შედეგი. ასევე ხაზი მინდა გავუსვა, რომ თბილისის საკრებულოში 29 დეპუტატის მანდატი მოვიპოვეთ, თუმცა ამომრჩეველთა გადაწყვეტილებით, თბილისის მერის ასარჩევად მეორე ტური დაინიშნება, რადგან პირველი ადგილის დაკავების მიუხედავად, 50%-იანი ბარიერის გადალახვა ვერ მოხერხდა“.**

# ირაკლი კობახიძე: საზოგადოებას კიდევ ერთხელ ვპირდებით, რომ ოცივე მუნიციპალიტეტში ჩვენ მოვიგებთ მეორე ტურს

**„რაც შეეხება ჩვენს კანდიდატებს თბილისსა და სხვა მუნიციპალიტეტებში, სამი შემთხვევაა, სადაც ოპოზიციის კანდიდატმა გაიმარჯვა, თუმცა ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მეორე ტურში აუცილებლად მოვიგებთ. სხვა შემთხვევაში არის ძალიან დიდი უპირატესობა, როგორც თბილისში, ასევე სხვა მუნიციპალიტეტებში ჩვენსა და ოპოზიციის კანდიდატებს შორის. საზოგადოებას კიდევ ერთხელ ვპირდებით, რომ ოცივე მუნიციპალიტეტში ჩვენ მოვიგებთ მეორე ტურს. ჩვენ საზოგადოებას დავპირდით, რომ „ქართული ოცნება“ დამაჯერებლად მოიგებდა ამ არჩევნებს და თქვენი პოლიტიკური პარტია („ნაციონალური მოძრაობა“) დამაჯერებლად წააგებდა, შესაბამისად, ძალიან მძიმედ წააგეთ ეს არჩევნები“,** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

# გიორგი ჩიქოვი: სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის დამკვირვებლებს შეეძლოთ, სიტუაცია ეკონტროლებინათ



**ყველაფერი ხდებოდა გამჭირვალე მეთოდით. სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის დამკვირვებლებს შეეძლოთ, რომ სიტუაცია ეკონტროლებინათ და კონტროლის ქვეშ ყოფილიყო ყველა საარჩევნო უბანი,** — ამის შესახებ უკრაინელმა დამკვირვებელმა, ორგანიზაცია „რეფორმების დახმარების ცენტრის“ წარმომადგენელმა, გიორგი ჩიჟოვმა ცესკო-ი გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

**„მოვინახულე რამდენიმე საარჩევნო უბანი და კანონს იცავდნენ, მათ შორის კოვიდ-19-თან დაკავშირებულ რეგულაციებს ზედმიწევნით ასრულებდნენ. დღევანდელი სიტუაციის გამო, ბევრ ადამიანს უწევდა საარჩევნო უბნებს გარეთ ლოდინი, მაგრამ ეს ლოდინის პერიოდი არ აჭარბებდა 10 ან მაქსიმუმ 15 წუთს. დოკუმენტების გაცემა, ყველაფერი ხდებოდა გამჭირვალე მეთოდით. სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის დამკვირვებლებს შეეძლოთ, რომ სიტუაცია ეკონტროლებინათ და კონტროლის ქვეშ ყოფილიყო ყველა საარჩევნო უბანი. ვიდეოჩანაწერები, რაც უკავშირდება ხმის დათვლის პროცესის ვიდეოჩანაწერის გაკეთებას, ბუნებრივია, ეს პროცესს უფრო ნათელს მოჰფენს.**

**შემდეგი საკითხი, რისი ხაზგასმაც მსურს, გახლავთ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები და მათ ქცევა. წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ფაქტობრივად, არ იყო სივრცე და რაიმე ადგილი გამოტოვებული, რაიმე დარღვევისთვის. იმედი მაქვს, რომ ხმის დათვლის პროცესიც დასრულდება წყნარ და მშვიდ გარემოში ყოველგვარი დარღვევის გარეშე“,** — განაცხადა გიორგი ჩიჟოვმა.

# ორასამდე ინციდენტი და 7 დაკავებული

**პოლიციამ კენჭისყრის დღეს, საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე, მიღებული შეტყობინებებისა და მედიაში გავრცელებული ინფორმაციების საფუძველზე, 200-მდე ინციდენტზე მოახდინა რეაგირება,** — ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის დირექტორმა, ქეთევან კოვზიაშვილმა შსს-ში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. **„საარჩევნო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით, თითოეულ ფაქტზე, პოლიციამ განახორციელა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები — დადგენილი წესის შესაბამისად, პირველ ჯერზე შესაბამის პირებს მითითება მიეცათ და მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაჯარიმდა მოქალაქე ადმინისტრაციული წესით — 2000 ლარის ოდენობით.**

**პოლიციის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობისა და ხულიგნობის გამოვლენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ადმინისტრაციული წესით პოლიციამ შვიდი პირი დააკავა, მათ შორის მარნეულში — სამი პირი, ასპინძაში — ორი პირი, ლანჩხუთში — ერთი პირი და თბილისში ერთი პირი“,** — განაცხადეს შსს-ში.



# უმაღლესი ხელისუფალი – ქართველი ხალხი!

**2 ოქტომბერს ბევრი საარჩევნო უბანი ვნახე და არჩევნების მიმდინარეობის პროცესზე ჩემი თვალით ნანახს ვწერ..**

**პირდაპირ ვამბობ — არჩევნები ჩატარდა კანონისა და დემოკრატიის სრული დაცვით და რაც არ უნდა იწიკვინონ ნაცტელევიზიებმა და „კაპიტან“ გიგაურის რაზმმა, საკუთარი თვალების უფრო მჯერა, ვიდრე მათი ტყუილების (ეს ერთი).**

**ზუსტად ისე, როგორც ნიუ-იორკის კრიმინალური სამყარო კონტროლდებოდა მაფიის 5 ოჯახის მიერ, ქართულ სამოქალაქო სექტორს 3 „არასამთავრობო“ ორგანიზაცია აკონტროლებს.**

„კაპიტან გიგაურის რაზმი“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და „სამართლიანი არჩევნები“ სრულად გადაიქცნენ ნაციონალური მოძრაობის დანამატად და საბჭოთა ჩეკისტების მსგავსად, აშკარად მიკერძოებული საჩივრებით დაატერორეს საარჩევნო კომისიების რიგითი თანამშრომლები, ხოლო ბობოლა ნაცების აშკარა დარღვევები კი შეამჩნიეს, მაგრამ არანაირი რეაგირება არ მოახდინეს!

მათ შეუძლიათ უსაფუძვლო საჩივარი დაწერონ უბრალო ადამიანზე და ცესკოს ნაცი წევრის დასწრება მელიას საარჩევნო შეხვედრაზე უბრალოდ გაატარონ.

მათ თავიანთი მიკერძოებული და მდაბიო ქმედებით სამოქალაქო სექტორის სრული დისკრედიტაცია მოახდინეს, რამაც მათ მიმართ ნდობის ხარისხის ნულამდე დაცემა და ამ რამდენიმე ხნის წინ ჩვენი ზოგიერთი ევროპელი პარტნიორის გაკვირვება გამოიწვია.

თუმცაღა, რატომ არის გასაკვირი მათი უმდაბლესი რეიტინგი და ნდობის ხარისხი, როცა საქართველოში მათი გაკეთებული არც ერთი წესიერი საქმე არავის უნახავს?

რეალობა არის ცესკოს საბოლოო შედეგები, რაც გუშინ დადასტურდა და უცხოელი დამკვირვებლების შეფასებები არჩევნების სამართლიანობაზე!

უნგრეთის პარლამენტის დეპუტატი, ლორინს ნაჩა, რამდენიმე საარჩევნო უბნის მონახულების შემდეგ, აცხადებდა, რომ პროცესის წესების დაცვით მიმდინარეობს.

**უნგრელი დეპუტატი ლორინს ნაჩა: თბილისსა და მცხეთაში რამდენიმე საარჩევნო უბანი მოვინახულეთ. დარღვევები გამოვლენეილია, ყველაფერი წესრიგშია. საარჩევნო უბნებზე კოლეგებს ვესაუბრეთ. ქართველ ხალხს დღეს საკუთარი აზრის გამოხატვა შეუძლია. ესაა დემოკრატიის საფუძველი.**

**კელი დეგნანი: გლდანში საარჩევნო დამკვირვებლის როლში ვარ. დღის განმავლობაში არაერთ უბანს დავაკვირდი და ყველგან სიმშვიდეა, პროცესი საკმაოდ ორგანიზებულია. დავაკვირდით უბნების გახსნის პროცესს, რამაც მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, ევროპარლამენტის დელეგაციის თავმჯდომარე მიხაილ გალერი: ზოგადად, საარჩევნო პროცედურა ნორმალურად მიმდინარეობს.**

ჰოდა, მორჩა თქვენი წიკვინი.

მეორე და მთავარი არის ის, რომ ოც ოლქში მეორე ტური, რომლებიც დაინიშნება ერთი შეხედვით უსიამო შეგრძნებას ტოვებს, მაგრამ უემოციო, „ცივი“ შეფასებით ძალიან კარგია.

კარგია იმიტომ, რომ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების გაჯანსაღებისკენ წინ გადადგმულ ნაბიჯად ვთვლი.

მე თვითონ გავიარე რამდენიმე საარჩევნო უბანთან და იქ ნამდვილად არ შეიმჩნეოდა ის „ფაქტები“, რაზეც აღტყინებით ლაპარაკობდნენ.

ცესკომ მაქსიმალურად ხელი შეუწყო იმ ხალხს, ვინც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ მოახერხა უბანზე მისვლა.

დამატებულ იქნა 70 კოვიდუბანი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ კარანტინში, სტაციონარში, თუ თვითიზოლაციაში მყოფი ადამიანების თავისუფალი არჩევნების უფლებებს.

რაც შეეხება ვითომდა უბანთან აგიტაციას და მსგავს „დარღვევებს“, ეგეც კანონით არის ზუსტად გაწერილი — უბნიდან 100 მეტრის მოშორებით, რაც უნდათ ის ილაპარაკონ. ცხადია, იქ სადაც ე.წ. „კრიტიკული მედია“ და ნაცებთან გაიგივებული ტიპები იყვნენ, ბუზიდან სპილოს შექმნის მცდელობა იყო. მაგალითად, ავრცელებენ ფოტოს, სადაც საარჩევნო ყუთთან ორი ადამიანი დგას, ე. ი. მოხდა საშინელება, გაყალბდა არჩევნები, დაიქცა სამყარო...

არადა, კანონის 65-ე მუხლის თანახმად ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი.

რაც შეეხება იმ შეცდომებს, რაც დაშვებულ იქნა, ეგეც ითქმება, მაგრამ ჯერ არა, რადგანაც არჩევნები არ დასრულებულა.

**არსებული მონაცემებით ვადამდელი არჩევნები არ ჩატარდება, რაც ასევე კარგია.**

**კარგია, რადგანაც მოხდება ხელისუფლების გამოფხიზლება და ნაცების იდიოტურ გამოსვლებს წერტილი დაესმება.**

**გამოფხიზლება კი აუცილებლად საჭიროა.**

**საჭიროა, რადგანაც აუცილებელია ზუსტი პრიორიტეტისა და ზუსტი მოწინააღმდეგის განსაზღვრა.**

**მტრად შერაცხო (არა „მოწინააღმდეგედ“, არამედ „მტრად“) გახარია, დააბრალო მას კოკაინისტობა, ნაცებთან კავშირი და სხვა მრავალი უბედურება და ამავე დროს ნაცები მეორე პოლიტიკურ ძალად, ხოლო მელია კალაძის ერთადერთ რეალურ მოწინააღმდეგედ დაასახელო, რბილად რომ ვთქვა, შეცდომაა.**

**შეცდომაა, რადგანაც ამ ფორმით პიარს უკეთებ ნაცებს და მათ მომხრეებს დამატებით სტიმულს აძლევ, ხოლო რიგით მოქალაქეს ეუბნები, რომ როდესაც ის ავტობუსში 10 მგზავრთან ერთად ზის, იმ მგზავრებში სულ ცოტა 3 მიშას, მეგისას, „კასტილიანის“ მომხრე და ეკლესიის, რწმენის, მომავალი თაობის და საქართველოს მტერია.**

ეს საკმაოდ დიდი შეცდომაა და ხელისუფლებამ ამ მიმართულებით სწორ პოლიტიკაზე უნდა იფიქროს.

რაც შეეხება სააკაშვილის დაკავების ფაქტს: მოდით და მშრალად, ყოველგვარი ემოციების გარეშე ვნახოთ, თუ რა მოხდა.

დავიწყებ იმით, რომ სააკაშვილი კი არა, ბერია დაიჭირეს და არაფერი სასწაული არ მომხდარა.

ახლა კი სერიოზულად:

დააკავეს ძებნილი, რამდენიმე მუხლით გასამართლებული პირი, რომელმაც გადმოკვეთა საზღვარი და მის მიმართ გატარდა შესაბამისი ღონისძიება.

რა იცვლება ამ დაკავებით?

პირველ რიგში, აღსრულდება მართლმსაჯულება და საქართველო კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არის სახელმწიფო.

**მეორე და მთავარი — ნაციონალურ მოძრაობას და მის იმ მხარდამჭერებს, რომლებიც ამ არჩევნებზე დესტაბილიზაციას აპირებდნენ, ლაგამი ამოედოთ, რადგანაც გაცხადდა, რომ საქართველო არ არის არც რაღაც არასამთავრობო ორგანიზაცია და არც ვინმეს ვასალი.**

**გაცხადდა, რომ საქართველოში უზენაესი არის კანონი და ამ კანონს წერს უმაღლესი ხელისუფალი — ქართველი ხალხი.**

რაც შეეხება იმ აჟიოტაჟს, რაც 1 ოქტომბერს დილიდან იყო ატეხილი, ასევე იმ „დანაშაულს“, რომ ქართული ოცნების ლიდერებმა ამ ჩვენ აბეზარ ჟუუუურრრნალისტებს მცდარი ინფორმაცია მიაწოდეს, უბრალოდ ვიკითხავ — აბა, სხვანაირად როგორ უნდა განვითარებულიყო პროცესები?

ეთქვათ, რომ საქართველოშია, ვახორციელებთ დაკავების ოპერაციას, მიეყვანათ ტელევიზიები და პირდაპირ ეთერში განეხორციელებინათ ის, რაც ყოველთვის და ყველგან საიდუმლოდ მიმდინარეობს.

ასე რომ, ყველაფერი ძალიან კარგად მოხდა.



დაბოლოს: ამ არჩევნებზე იყო ერთი სასიამოვნო ფაქტიც, რომლითაც ამ წერილს დავამთავრებ — ძლივს იმას მოვესწარი, რომ მამუკა ხაზარაძეს პროცენტები არ მოეწონა...

**გია გაბრიჭიძე**

# რა ჯდება არჩევნები და რამდენს დავზოგავთ მისი გაციფრულებით

**სახელმწიფო ბიუჯეტის თანახმად, წელს ცენტრალური საარჩევნო კომისია 74.5 მილიონი ლარით ფინანსდება. აქედან არჩევნების ჩატარების ღონისძიებებზე 45 მილიონი ლარია გაწკუთვნილი. ეს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით 5 მილიონი ლარით ნაკლებია.**

ცესკოს ინფორმაციით, არჩევნების ჩასატარებლად საქართველოში სრულ მზადყოფნაშია 3 664 საარჩევნო უბანი, გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი 9 უბანი და სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი 70 სპეციალური უბანი. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3 497 345-ს შეადგენს. ამომრჩევლები აირჩევენ 64 საკრებულოს 2068 წევრს (როგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარული წესით) და 64 მერს.



ექსპერტები ამბობენ, რომ არჩევნების გაციფრულებით ბიუჯეტი მილიონობით თანხას დაზოგავს. მათი განმარტებით, არჩცევნების გაციფრულება მის ბლოკჩეინ სისტემით ჩატარებას გულისხმობს. ბლოკჩეინ არჩევნები ყველაზე დემოკრატიულ არჩევნებადაა აღიარებული, თუმცა მისი დანერგვა საქართველოს საარჩევნო სისტემაში, როგორც ჩანს, არც ხელისუფლებას სურს და არც ოპოზიციას.

ციფრული ეკონომიკის მესვეურები და ტრადიციული ეკონომიკის სპეციალისტები დიდი ხანია საუბრობენ, რომ ბლოკჩეინ სისტემის ამოქმედებით არჩევნების გაყალბების შანსი ნულს უტოლდება და გამოათავისუფლებს საარჩევნო ხარჯს, რომელიც ყოველწლიურად იზრდება. მათივე რეკომენდაციით, ეს მოგვცემს შესაძლებლობას დაზოგილი მილიონები მივმართოთ ბევრად საჭირო პროგრამებზე, როგორიცაა სოციალური პროგრამები, საგანმანათლებლო და სხვა, რაც ქვეყნის ეკონომიკას ბევრად მეტ სარგებელს მოუტანს.

ციფრული არჩევნები კიდევ უფრო მიმზიდველი ხდება პანდემიისას, რადგან ხმის მისაცემად ხალხის მობილობა არ იქნება საჭირო, რაც კორონავირუსის გავცელების რიკს არჩევნების მიზეზით ნულამდე დაიყვანს.

ეკონომიკის ექსპერტი ნიკა შენგელია კომერსანტს უხსნის, რომ ბლოკჩეინით არჩევნების ჩატარება იდეალური იქნებოდა, თუმცა არ აქვს იმედი, რომ ეს მოხდება.

**ბლოკჩეინით არჩევნების ჩატარება იქნება იდეალური რამ, შედეგების გაყალბების საწინააღმდეგოდ. სამწუხაროდ, ხელისუფალისათვის ასეთი სახის არჩევნების ჩატარება ჯერჯერობით მიუღებელი ჩანს. მიუღებლობა გამოიხატება იმაში, რომ გაყალბების მანიპულების საშუალებას ნულამდე ამცირებს,** — გვეუბნება ექსპერტი და ციფრული არჩევნების სიკეთეებზე საუბრისას ხაზს უსვამს იმასაც, რომ ბლოკჩეინით საარჩენო ხარჯები გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე დღევანდელი სახით ჩატარებული არჩევნების დროს აქვს ბიუჯეტს.

**მთავარია, დაინერგოს ეს სისტემა და შემდეგ საჭირბოროტო საკითხების რეფერენდუმის სახით გადაწყვეტაც რომ მოუნდეთ, პრობლემა არ იქნება, რადგან ორგანიზება და შედეგების დათვლა, ფაქტობრივად, რაიმე სერიოზული ფინანსური რესურსების მობილიზაციას არ მოითხოვს,** — აცხადებს შენგელია.

ციფრული არჩევნების საჭიროებაზე დიდი ხანია საუბრობს კომერსანტთან ექსპერტი ვეფხია გიორგაძეც. მისი თქმით მხოლოდ ციფრული არჩევნებით იქნება გარანტირებული დემოკრატიულობის მაღალი ხარისხი და, რაც მთავარია, ყველაზე ეკონომიურიც. გიორგაძე ამბობს, რომ ბლოკჩეინ არჩევნებში ანულირდება საარჩევნო ხარჯი, რითაც ბიუჯეტი სოლიდურ თანხას დაზოგავს. გიორგაძე ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ ციფრულ არჩევნებში ჩართვა შეეძლებათ ემიგრანტებსაც, აფხაზ და ოს ძმებსაც, რაც ჩვენს ინტეგრაციას შეუწყობს ხელს.

შეგახსენებთ, 2019 წლის პრეზიდენტის არჩევნები ქვეყნის ბიუჯეტს 55 მილიონი ლარი დაუჯდა. უშუალოდ საარჩევნო ღონისძიებებზე დაახლოებით 40 მილიონი ლარი დაიხარჯა. დანარჩენი 15 მილიონი კი, ბიუჯეტს პოლიტიკური პარტიების შენახვა დაუჯდა. ცესკომ 2020 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ჩასატარებლად 42,760,652 ლარი დახარჯა.

**ბელა გელაშვილი**



**მიხეილ სააკაშვილი რუსთავის მე-12 სასჯელაღსრულების დაწესებულებაშია. იქ, სადაც გასულ კვირას სამხედრო პოლიციის ყოფილი უფროსი, ექსპრეზიდენტისთვის „უცნობი“ მეგის ქარდავა იმყოფება. სააკაშვილმა, რომელიც ცდილობდა, ლავრენტი ბერიას როლი მოერგო, დაკავებიდან რამდენიმე საათში შიმშილობა დაიწყო, საბჭოთა კავშირის მარშლისგან განსხვავებით, რომელიც 1953 წელს შპიონაჟის და შეთქმულების ბრალდებით დააპატიმრეს, მაგრამ საპატიმრო დაწესებულებაში შიმშილობა არ გამოუცხადებია. მეტიც, ისტორიულ წყაროებს თუ დავეყრდნობით, ლავრენტი ბერიას სამსახურებრივი კარიერა საქართველოშიც წარმატებული გამოდგა, მისთვის სულ ერთი არ იყო, იქნებოდა თუ არა აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში. სააკაშვილი ამ ნაწილშიც ვერ იქნება ბერია, რომელმაც 2008 წელს ქართული სოფლების დაკარგვა ასე შეაფასა: „რუსებმა მიიღეს ქვების გროვა და ეს მართლაც ასეა“.**

**ვინ იყო ბერია და რატომ ცდილობენ ქართველი პოლიტიკოსები მიბაძონ მას? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.**

# ბერიას აჩრდილი ნაციონალურ პოლიტიკაში

## არა მარტო სააკაშვილი, იგივე ვანო მერაბიშვილი ამბობდა, რომ ის არის ბერია...

**— მიხიელ სააკაშვილი ცნობილია იმით, რომ ბაძავდა და ცდილობდა ყოფილიყო ბერია, რაც არ გამოსდიოდა. ბერიას ეშმაკობასა და მოხერხებულობაზე არაერთხელ დაწერილა... ვინ იყო რეალურად ბერია საქართველოსთვის?**

— ბერიას ეკუთვნის ფრაზა — „სტალინს ვერაფრით ვერ შევაყვარე საქართველო“. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში პოლიტიკაში იყვნენ ფიგურები, რომლებზეც კარგის და ცუდის თქმა ერთნაირი ტყუილი იყო. აბსოლუტურად კარგები ნამდვილად არ იყვნენ, მაგრამ აბსოლუტურად ცუდებიც ნამდვილად არ იყვნენ. ჰიტლერსაც კი თავისი პლუსები ჰქონდა გერმანიის აყვავების საქმეში, მაგრამ მეორე ფურცელს რომ გადმოშლი, გული შეგიწუხდება.

ფაქტია, რომ ბერიას შეეძლო ქვეყნის მასშტაბით აზროვნება. შეეძლო ეფიქრა იმაზე, რა გამოადგება ამ ქვეყანას და რა — არა. რაც შეეხება იმას, რასაც ყველაზე ხშირად ამბობენ ბერიაზე, რომ იყო ეშმაკი, მოხერხებული და ა.შ. პარადოქსია, რომ მან პირველკაცობა ვერ მოახერხა და ვერ აჯობა ხრუშჩოვს.

**— ადამიანი, რომელიც ატომურ პროექტებს ხელმძღვანელობდა, ეს ნიშნავს, რომ იყო საკმაოდ ჭკვიანიც, მაგრამ ბოლომდე რატომ ვერ თვლიდა? იგივე ისტორიულ წყაროებს თუ დავეყრდნობით, მას უნდოდა საზოგადოების დემოკრატიზაცია და დათბობის პოლიტიკის გატარება, მაგრამ ბოლომდე ვერ მიჰყავდა ეს ხაზი, რატომ?**

— სტალინის გარდაცვალების შემდეგ მას ჰქონდა ძალაუფლება და დოკუმენტებში ჩანდა ეს მონახაზები. კერძო საკუთრების გაშვება უნდოდა, მათ შორის რესპუბლიკების, მაგრამ რატომ ვერ მოზომა, რთული სათქმელია. როდესაც ადამიანს რაღაცის გაკეთება უნდა, ის თავის იდეებში ხარვეზს ვერ ხედავს, რადგან რომანტიკული სიყვარული აკავშირებთ ამ იდეასთან. ბერია და რომანტიკულობა ძალიან ძნელი გასაერთიანებელია, მაგრამ რახან მას ძალიან დიდი რეფორმების გატარება სურდა, ვეღარ გათვალა რამდენად რეალური იყო ეს რეფორმები.

**— სტალინის გარდაცვალების შემდეგ წარმოუდგენელი ძალაუფლება ჰქონდა, მაშინვე გამოვიდა ამნისტიის იდეით, დაიწყო პოლიტპატიმრების რეაბილიტაციის პროცესიც კი. როგორც ისტორიკოსები წერენ, ბერიას აზრით საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობაში უნდა ყოფილიყო ნაციონალური ელიტა და არა მოსკოვიდან დანიშნული...**

— ფედერალიზმი, ამ სიტყვის ნორმალური გაგებით. ამბობენ, რომ ძალიან ბევრი პროგრესული აზრი ჰქონდა, მაგრამ პროგრესული აზრი რომ გქონდეს, ეს არაა საკმარისი. საჭიროა მოსაზრება გქონდეს იმაზე, როგორ მოახდენ ამ აზრის რეალიზაციას. ბერია დაეყრდნო სტალინის გამოცდილებას — პირველი პირი თუ იქნება, იტყვის და შესრულდება, მაგრამ ასე არ არის. ერთი რამ ვერ გაითვალისწინა — სტალინი ჯერ ანადგურებდა იმათ, ვინც შეიძლება შეწინააღმდეგებოდა, მერე ატარებდა იმ ხაზს, რაც თვითონ სურდა. საშინელი სურათია დიქტატორის სურათი, მაგრამ ასეთი იყო ის დრო და ის ხალხი. თვითონაც იმ დროის პირმშოები იყვნენ ერთიც და მეორეც.

**— კრემლში ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ბერია და მისი თანაგუნდელები დამარცხდნენ, დააპატიმრეს და ბოლოს დახვრიტეს კიდეც. ბერიას ერთ-ერთ ბრალდებაში ვკითხულობთ: „მოქალაქე ბერია, იყენებდა რა ბოროტად თავის სამსახურებრივ თანამდებობასა და პოლიტიკურ გავლენას, საქართველოში ჩამოაყალიბა მძლავრი, კარგად გაწვრთნილი, ბრძოლისუნარიანი და შეიარაღებული დაჯგუფებები. მათი მომავალში გამოყენება კი, ძალაუფლების მიტაცებისთვის უნდოდა“. საქართველოში რამდენად ძლიერი დასაყრდენი ჰქონდა?**

— ის, რომ მას საქართველო შეიძლებოდა ყვარებოდა, ეს არაა გასაკვირი და გამორიცხული. გავიხსენოთ, როცა საქართველოს პირველი კაცი იყო, ბევრი რამ გააკეთა საქართველოსთვის. ამას მტრებიც აღიარებენ და მოყვრებიც. მაგალითად, თბილისში ბევრი რამ გააკეთა — იგივე პიონერთა სახლი, სანაპიროს შექმნაც ბერიას დამსახურებაა, ცირკის შენობა, მთაწმინდის პლატო... ეთნოკონფლიქტების მოგვარებაშიც აქტიურად იყო ჩართული, თავისებურად მოაგვარა, დახვრიტა ხალხი, მაგრამ ფაქტია, რომ მისთვის სულ ერთი არ იყო აფხაზეთი იქნებოდა თუ არა საქართველოს შემადგენლობაში...

ქართული ინტერესების დაცვისთვის ბევრი გაუკეთებია, მაგრამ როცა სასწორზე დგებოდა რუსეთის და საქართველოს ინტერესი, სასწორი მაინც საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ იხრებოდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის ბრმა მოყვარული არ იყო, რასაც შეეწირა კიდეც. საბჭოთა კავშირის და საქართველოს ინტერესების შეჯახებისას ქართულს სწირავდა, ესეც გარკვეულ ფარგლებში, მაგრამ როდესაც საქმე არ ეხებოდა კარიერას და ეხებოდა საქართველოსთვის რაღაცა კარგის გაკეთებას, ამას აკეთებდა ნამდვილად — უფრო ადვილად, ვიდრე სხვა ვინმე.

**— ბერიას პოლიტიკური კურსის პოპულარობა ხელს არ აძლევდა საბჭოთა პოლიტიკური და სამხედრო ელიტის სხვა წარმომადგენლებს. ასეთი ძლიერი, ჭკვიანი და ამავე დროს ცბიერიც თუ იყო, რატომ ვერ გათვალა, რატომ მოუგო ხრუშჩოვმა, რომელიც არ იყო ძლიერი ფიგურა?**

— გლეხური ეშმაკობა ჰქონდა. მასეთი სტრატეგიული გათვლები უფრო სტალინის ტვინში ტრიალებდა. ბერია უფრო შემსრულებელი იყო. სტრატეგიულ აზროვნებას თავისი ჩვევა უნდა, რაც ბერიას გამომუშავებული არ ჰქონდა. სტალინი ებრაულ გარემოცვაში იყო, ბოლშევიკური ელიტა ებრაელებისგან შედგებოდა. სტალინმა მიზნად დაისახა და შეასრულა კიდეც, რომ ეს ელიტა ჩამოეშორებინა. რატომ? — იმიტომ, რომ ებრაული ელიტა მას წინ არ გაუშვებდა. ძალიან განათლებული ებრაული ელიტა საბჭოთა კავშირის ზედა ეშალონებში სტალინის მიმართ მორიდებით არ გამოირჩეოდა.

ამიტომ, სტალინს გათვლილი ჰქონდა, ვინ უნდა მოეშორებინა ბრძოლის ველიდან იმისთვის, რომ გაემარჯვებინა. ბერიას ასეთი სტრატეგიული გეგმა არ ჰქონდა. ვერ გათვალა, რომ ხრუშჩოვი და სხვები, რომლებსაც ბერიას დანახვაზე აკანკალებდათ სტალინის დროს, ისინი ყოველმხრივ ეცდებოდნენ, რომ ჩამოეშორებინათ. არ იყო შეჩვეული მათთან ჭიდილს, რადგან ასეთი ჭიდილი არ უწევდა სტალინის ზეობისას.

**— იგივე რუსეთში რაღაც ჯგუფი თვლის, რომ ბერია იყო დიქტატორი, მაგრამ ნაწილი პირიქით, ისევე როგორც საქართველოში, მაგრამ პოლიტიკაში გვყავდა და გვყავს ადამიანები, რომლებიც ცდილობენ რომ ბერიას სტილი მოირგონ საკუთარ თავზე...**

— ამის ცდუნება ყველას ჰქონდა და ექნება. ამ როლს ირგებდნენ ბერიას ლანძღვით. ანუ, უნდათ გააკეთონ რაც ბერიამ გააკეთა, მაგრამ ლანძღონ პარალელურად. დღეს ქართველი პოლიტიკოსი რა დღეშია? — წამყვანი მხარე მოლენათა შეაფასებაში ჩვენთვის დასავლეთია. რუსეთისთვის არა და ამიტომ, რუსი ანალიტიკოსები ამ მხრივ უფრო თავდაჯერებული არიან, ამბობენ იმას, რასაც ფიქრობენ, არ აინტერესებთ დასავლეთს რა რეაქცია ექნებათ. ჩვენთან აინტერესებთ, რადგან ვიცით, რომ დასავლეთს არასოდეს არ ექნება კარგი რეაქცია ბერიას პოზიტიურ შეფასებაზე. ჩვენ ფაქტობრივად დასავლეთს მივყვებით.

რუსეთში რა ხდება — თავის დროზე ძალიან მოიშალა რუსეთის სახელმწიფო, მხოლოდ პუტინის ფიგურის შემოყვანამ შეცვალა სიტუაცია. პუტინი, რომელიც უშიშროების მაღალი რანგის ოფიცერია, ნელ-ნელა დაიწყო ამ იდეის ამოტივტივება, რომ უშიშროების სისტემაში იყვნენ ადამიანები და შეიძლება ახლაც იყვნენ ისეთები, რომლებიც ზრუნავენ სახელმწიფოზე და მაქსიმალურად პროგრესულები არიან. სწორედ პუტინის მოსვლის მერე წამოიწია ბერიას ისტორიულმა ფიგურამაც. ხშირად ხდება, როდესაც მოქმედი ლიდერები ბაძავენ ძლიერ ფიგურებს.

გიორგი სააკაძე უარყოფითი ფიგურა იყო საქართველოს ისტორიაში, დასჭირდა სტალინს მისი დადებითად გახდომა და გადაიღო ფილმი. სააკაძეში ის ხედავდა თავის თავს და თუ სააკაძე მართალია, ისიც გამართლდებოდა. ანუ, სააკაძე იყო ის ფიგურა, რომელიც დიდი სახელმწიფოს სამსახურში ჩადგა და მერე შეძლებისდაგვარად თითქოს დაეხმარა საქართველოს. სტალინიც ასე თვლიდა. ასე რომ, შეფასებები ძალიან ხშირად ამ კუთხით ხდება. რუსეთში წამყვანი ფიგურა არის პუტინი და პუტინის კუთხიდან შეფასებულ ბერიაში მეტ პოზიტივს იპოვნიან. საქართველოში ასეთი პოზიტიური შეფასება ნაკლები იქნება, იმიტომ, რომ ქართველი ანალიტიკოსები დასავლეთზე არიან ორიენტირებული და დასავლეთი ბერიას, ისევე როგორც სტალინს, პოზიტიურად ვერ შეაფასებს.

**— მიხეილ სააკაშვილი ცდილობდა მიებაძა ბერიასთვის, განსაკუთრებით ეს ხაზი გამოჩნდა მას შემდეგ, რაც საქართველოდან წავიდა. ამ მხრივ სააკაშვილი არ იყო გამონაკლისი, თითქმის ყველა საკუთარ თავში ხედავდა ბერიას, მაგრამ ამის ხაზგასმას ვერ ბედავდნენ. თავისთავად ჩნდება კითხვა, თუკი საქართველოს მოღალატე იყო, მაშინ აიგივებდნენ საკუთარ თავს ამ მოღალატესთან?**









— არა მარტო სააკაშვილი, იგივე ვანო მერაბიშვილი ამბობდა, რომ ის არის ბერია. ღალატი არ ვიცი, მაგრამ ბერია მოხერხებული და ჭკვიანი იყო. ამ მოხერხებულობით მოხიბლა სტალინი. დღეს ვინმეში ბერია რომ დაინახო, უნდა სცადო ჯერ სტალინი იპოვო. ანალოგიურად, საფრანგეთის ისტორიაში რომ ჩავიხედოთ, გენიოსი იყო ფუშე, მაგრამ არაფერი არ იყო ნაპოლეონის გარეშე. რამდენჯერ ულალატა ნაპალეონს, მაგრამ ნაპოლეონი მაინც ფუშეს ნიშნავდა პირველ პოლიციელად. რატომ? — იმიტომ, რომ მისი ფასი იცოდა.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**



# აღსრულდა ის, რაც ცას სურდა...

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს გუჩა კვარაცხელიას მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს 81 წელი შეუსრულდებოდა. ეს ის პირველი დაბადების დღეა, რომელსაც მისი ოჯახი, მეგობრები და კოლეგები უიმისოდ აღვნიშნავთ.**

**ქალბატონი გუჩა კვარაცხელია იმ გამორჩეულ ოც ქართველ ქალთა შორისაა, ვინც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ 1941 წლიდან მოყოლებული, ანუ დღიდან მისი დაარსებისა დღემდე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტად ან აკადემიკოსად აირჩია.**

ამ ორიოდე წლის წინ აკადემიამ დასტამბა ცნობარის ტიპის კრებული აკადემიკოს ქალბატონებზე. წინასიტყვაობის სახით კრებულს დართული აქვს აკადემიკოს აკაკი შანიძის წერილი სათაურით **„ქართველი ქალი სამეცნიერო ასპარეზზე“,** რომელიც ჯერ კიდევ 1968 წელს გამოქვეყნებულა. აკაკი შანიძე განსაკუთრებულ როლს ანიჭებს ქალის ცხოვრებაში ოჯახსა და შვილების აღზრდას და იქვე დასძენს: **„ერთი შვილის წესიერი აღზრდა უთუოდ ერთ სადოქტორო დისერტაციას უდრისო.“** თუ აკაკი შანიძის ადლით გავზომავთ ქალბატონ გუჩა კვარაცხელიას ფენომენს, მაშინ მისი თავდაუზოგავი მოღვაწეობა განსაკუთრებულად გამორჩეული ღირებულებებით დაიტვირთება.

როგორ მდაბლად უნდა დავხაროთ თავი, როდესაც ვიცით, რომ ქალბატონი გუჩა კვარაცხელია ხუთი კარგი შვილის აღმზრდელი დედა ბრძანდებოდა! **„შვილის ლამაზად გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადაო“,** — ბრძანა დიდმა ვაჟამ.

ქალბატონმა გუჩა კვარაცხელიამ პროფესიად ფილოლოგია აირჩია. ჯერ იყო და სრულიად ახალგაზრდამ, ასპირანტურის დამთავრებისთანავე, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია მეტყველების სტილის საკითხებზე, რაც შემდგომში სადოქტორო დისერტაციასა და ასობით პუბლიკაციაში განვითარდა ზოგადი ენათმეცნიერების, სტილისტიკის, ტექსტის ლინგვისტიკის, ქართული ენის სტრუქტურისა და პრაგმატიკის საკითხების დამუშავებით. ამასთანავე, ქართველი მეცნიერი ორგანიზატორული ნიჭით გამოირჩეოდა და ათი წლის მანძილზე ენათმეცნიერების ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა, ბრძანდებოდა სულხან-საბა ორბელიანის ინსტიტუტში კათედრის გამგე, საქართველოს განათლების მინისტრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

2019 წლის სექტემბერში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ვაკანსიებზე კონკურსი გამოაცხადა. ეს კონკურსი 14 განყოფილებას გულისხმობდა, მათ შორის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებას, რომელსაც ქალბატონი გუჩა კვარაცხელია ხელმძღვანელობდა. ამ განყოფილებამ კონკურსი გამოაცხადა სამი მიმართულებით: ენა, ლიტერატურა, კულტურა. აქედან გამომდინარე, კონკურსში მონაწილე მეცნიერთა რაოდენობა გამორჩეულად დიდი იყო, ვაკანტური ადგილი კი მხოლოდ ერთი. კონკურსანტი მეცნიერების საჯარო მოსმენები გაწერილი იყო ხუთ სხდომად მთელი დეკემბრის მანძილზე. მახსენდება პირველივე სხდომა, რომელიც პრეზიდიუმის დარბაზში უნდა ჩატარებულიყო. აკადემიის დებულების თანახმად, სხდომას უძღვება განყოფილების აკადემიკოს-მდივანი. გამომდინარე იქიდან, რომ ქალბატონი გუჩა იმხანად ხშირად ავადმყოფობდა, დარბაზში მას არ ელოდნენ და სხდომას უნდა გასძღოლოდა ამავე განყოფილების ერთ-ერთი აკადემიკოსი. სხდომის დაწყებამდე ათიოდე წუთით ადრე დარბაზის კარი გაიღო და შემობრძანდა საზეიმოდ, მაგრამ აუცილებლად აკადემიურად გამოწყობილი წარმოსადეგი ქალბატონი, რომელიც დამსწრეთ ღიმილითა და მარჯვენა ხელის აწევით მიესალმა. ეს ქალბატონი გახლდათ თავად აკადემიკოსი გუჩა კვარაცხელია, რომელსაც ავადმყოფობის კვალი ნამდვილად არ აჩნდა, უფრო მეტიც, ის განსაკუთრებული შემართებითა და ხალისით გაუძღვა ხუთივე სხდომას და წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა პირადად ჩემზე და, იმედია, ყველა იქ მყოფზე. ეს გახლდათ დიდი ერუდიციის, მაღალი ნიჭიერების, ღრმა პროფესიული ცოდნის, კეთილგანწყობისა და ამავე დროს არბიტრისათვის სავალდებულო კრიტიკული შეფასების ფეიერვერკი. მოგვიანებით, ამ საოცარი სანახაობის მხილველმა, **ქალბატონ გუჩა კვარაცხელიას საჯაროდ ქართული ლინგვისტიკის დედოფალი ვუწოდე**.

მოგეხსენებათ, როდესაც ღმერთი ადამიანს ნიჭს მოამადლებს, ის რომელიმე სფეროში პოვებს განვითარებას, გააჩნია, კაცს ცხოვრება რა გზით ატარებს და რა ცოდნასა და გამოცდილებას დაამგზავრებს. ძალიან იშვიათად კი ისიც ხდება, რომ ნიჭიერება ერთდროულად სხვადასხვა ასპექტში იმძლავრებს. მეცნიერების კვარცხლბეკზე ასულმა ქალბატონმა გუჩამ თავისი ნიჭიერება კიდევ მრავალი წახნაგით ააელვარა და საქართველოს თავი დაამახსოვრა, როგორც უკეთილშობილესმა პიროვნებამ, დიდმა საზოგადო მოღვაწემ და უნიჭიერესმა შემოქმედმა, საკუთრივ, როგორც მხატვარმა, დრამატურგმა და პოეტმა. მოვუსმინოთ მის პოეტურ სტრიქონებს:

* * *

**რატომ გატკინეს,**
**ჯვარს რად გაცვეს,**
**მართალო ცამდის,**
**მე ხომ მწამდი ისედაც...**

* * *

**ადვილად იტყვის კაცის ენა:**
**„ამოიღე გულიდან და გადააგდე!“**
**მაგრამ როგორ?**
**გული თუ არ გაისერე, რანაირად?**

* * *

**ადამიანმა უკეთესი მერმისისათვის**
**აწმყო გახადა უარესი,**
**ვიდრე წარსული.**

* * *

**თავისუფლებას კი არა და,**
**ყმობას ესწრაფვის ადამიანი!**
**აბა, რა არის -აღტაცებული**
**სიამით რომ ამოიძახებს:**
**„დამიპყრო ქალმა!“**
**„ხელოვნებამ მომაჯადოვა!“**
**„იდეის ტყვე ვარ!“**
**„სიყვარულის მადგას უღელი!“**

* * *

**თუ შეიძლება ხვალინდელ დღეში**
**იმგვარად მოვხვდე,**
**დღევანდელი არ გავიარო?**

* * *

**ჰე სიხარულო,**
**ვითომ ყოველ დღე შენც კარს მიღებდე!**
**სიზმრის კვამლივით ნუ ჩაივლი ჩემს**
**ფანჯარასთან,**
**შემოიხედე!**

ეს გახლავთ ამონარიდები გუჩა კვარაცხელიას პოეტური კრებულიდან **„ათინათები“**. არაერთ დიდ მოაზროვნეს აღუნიშნავს, რომ პატარა სარკმლიდან დანახული სამყარო კიდევ უფრო ღრმად და საინტერესოდ მოჩანსო. იქნებ ამიტომაც არის, რომ ქართველმა კაცმა ჭუჭრუტანიდან ბნელში შემოღწეულ სინათლის სხივს ათინათი უწოდა, ე. ი. ათი ნათებაო, რაც ჩემთვის ცნობილ სხვა ენებში ამ ეტიმოლოგიით არ გვხვდება. აი, სწორედ ასეთი ათინათებით დაგვანახებს სამყაროს პოეტი გუჩა კვარაცხელია. საყურადღებოა, რომ ყოველ პოეტურ ათინათს ის რაფინირებული გრაფიკით ასურათებს, და ორივე შემთხვევაში, იქნება ლექსი თუ ნახატი, ეს გახლავთ მინიატიურაში მოქცეული ღრმა და ორიგინალური ხედვა სამყაროსი, რადგან გუჩა კვარაცხელია უპირველესად ხედვის პოეტია.

დაბოლოს, სათქმელს დავასრულებ იმ პოეტური მინიატიურით, რომელიც თავად კრებულს ასრულებს და გუჩა კვარაცხელიას განვლილ ცხოვრებას შეაჯამებს:

**აღსრულდა ის, რაც ცას სურდა,**
**რაც გულში იყო ნადები:**
**ათრთოლდნენ უფლისა ნებით**
**სანებო ათინათები.**

**ინესა მერაბიშვილი,**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი**

# სწავლის დასაწყებად ყველა სკოლა მზადაა!

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, სისტემაში შემავალი ყველა შესაბამისი უწყების მიერ სკოლებში უზარმაზარი სამუშაოები განხორციელდა, რის შედეგადაც 4 ოქტომბერს სკოლის შენობებში სწავლის დასაწყებად საქართველოს ყველა საჯარო და კერძო სკოლა სრულ მზადყოფნაშია.

**„სკოლებში ზედმიწევნით იქნება დაცული ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული ყველა რეკომენდაცია, რაც ვირუსის თავიდან აცილებასა და ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.**

**ქვეყნის მასშტაბით, სამინისტროს მხრიდან დასრულებულია არა მხოლოდ საჯარო სკოლების ჰიგიენური საშუალებებით აღჭურვა, არამედ სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.**

**კერძოდ, სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები უზრუნველყოფილია შესაბამისი სადეზინფექციო ხსნარებით, პირბადეებით, თერმოსკრინინგის აპარატებითა და დეზობარიერებით. ვირუსის პრევენციისთვის საჭირო რესურსების მარაგი სკოლებისთვის მთელი სასწავლო წლისათვის.**

**ახალი სასწავლო წლისთვის თბილისსა და რეგიონებში უკვე დასრულდა 64 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა და სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ასევე 64 საჯარო სკოლას. სკოლებში მოწესრიგებული და გამართულია სველი წერტილები. მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესი უწყვეტ რეჟიმში გრძელდება. ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს კი აწარმოებს როგორც განათლებისა და მეცნიერების, ასევე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.**

**ახალი სასწავლო წლისთვის, საჭიროებიდან გამომდინარე საქართველოს 100 საჯარო სკოლა აღიჭურვა ახალი სასკოლო ინვენტარით (მერხები, სკამები, სასკოლო დაფები და სხვა). 60 საჯარო სკოლაში დამატებით მოეწყო სამედიცინო ოთახი, მალე კი, სამედიცინო ოთახისთვის საჭირო ინვენტარით დამატებით 142 საჯარო სკოლა აღიჭურვება.**

**ასევე, საჭიროების გათვალისწინებით, საჯარო სკოლებს 2 ეტაპად გადაეცემათ პროექტორები.**

**2021-2022 სასწავლო წლისთვის, ტრანსპორტით კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან მოსწავლეები თბილისსა და რეგიონებში.**

**სამინისტროს ხელშეწყობით, „მოსწავლეებისა და მასწავლებლების სახელმძღვანელოების უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში წიგნებითა და რვეულებით უზრუნველყოფილია საჯარო სკოლის ყველა მოსწავლე. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მოსწავლეთა მობილობის გათვალისწინებით, სკოლების სახელმძღვანელოებით აღჭურვა გრძელდება.**

**პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში საქართველოს საჯარო სკოლის პირველკლასელები და მათი დამრიგებლები პორტაბელურ კომპიუტერებს მიიღებენ.**

**ახალი სასწავლო წლიდან სკოლებში სრულად დაინერგება ელექტრონული ჟურნალი, რაც, მასწავლებლებს ხელს შეუწყობს ელექტრონულად აღრიცხონ მოსწავლეების როგორც დასწრება, ასევე შეფასება.**

**განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მშობლებს კვლავ აძლევს შესაძლებლობას, აირჩიონ დისტანციური სწავლების ფორმა, ხოლო რისკჯგუფის მასწავლებლებს, სურვილის შემთხვევაში შეეძლებათ, გაკვეთილები დისტანციურად ჩაატარონ.**

**დასწრებული სწავლების შემთხვევაში, მოსწავლეები I-XII კლასების ჩათვლით, ვალდებული იქნებიან ატარონ პირბადე, სახელმწიფო კი კვლავ უზრუნველყოფს მასწავლებელთა სავალდებულო ტესტირებას (ამ ეტაპზე ვაქცინირებულია პედაგოგთა და სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა 67%).**

**მოსწავლეებისთვის კვლავ იფუნქციონირებს „ტელესკოლის“ უაღრესად მნიშვნელოვანი, საერთაშორისოდ აღიარებული პროექტი, რომელსაც დისტანციური სწავლების მეთოდებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს. აღსანიშნავია ისიც, რომ იმ სკოლებს, სადაც 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო უბნები იყო განთავსებული, სასწავლო პროცესის საკლასო ოთახებში განახლებამდე ჩაუტარდა სრული დეზინფექცია“,** — აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# ევროპაში ენერგოკრიზისი იწყება, საქართველოში კი — მორიგი გაძვირება!

**ნავთობის ფასი 3-წლიან მაქსიმუმს მიუახლოვდა — შავი ოქროს ღირებულება 79 დოლარამდე გაიზარდა — ბოლოს ამაზე მაღალი ფასი — 80 დოლარი — 2018 წლის ოქტომბერში დაფიქსირდა. ეს უკვე კრიტიკული ნიშნულია. ევროპაში საწვავის კრიზისი დაიწყო, ბრიტანეთში ავტოგასამართ სადგურებთან რიგებია, სხვა ქვეყნებში კი მზარდი დაძაბულობა და საოცარი სიძვირე. საქართველოშიც გაძვირებას ელიან, თუმცა ნავთობპროდუქტების დეფიციტს გამორიცხავენ.**

ნავთობის გაძვირების მთავარი მიზეზია გაზის კრიზისი ევროპაში. მას შემდეგ, რაც ევროპაში გაზსაცავების მარაგები წინა წლებთან შედარებით 30%-ით შემცირდა, ცისფერი საწვავი კატასტროფულად გაძვირდა და ზოგიერთ შემთხვევაში 1000 კუბურ მეტრში 1000 დოლარს მიაღწია. ამან სხვა, საწვავის ალტერნატიულ სახეობებზე, მათ შორის ნავთობპროდუქტებზე მოთხოვნა მკვეთრად გაზარდა.

გარდა ამისა, ბოლო თვენახევრის მანძილზე გაზის ღირებულებაზე წნეხს ამერიკის გაზსაცავებში მარაგების შემცირებაც ახდენს. ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია — სინოპტიკოსები ევროპაში ცივ ზამთარს პროგნოზირებენ, შესაბამისად, მოთხოვნაც იზრდება — შესაძლოა, ის დღე-ღამეში 500 000-900 000 ბარელით გაიზარდოს.

საინვესტიციო ბანკის Goldman Sachs-ის ნედლეულის ბაზრების დეპარტამენტის უფროსი **ჯერ კარი** კი მიიჩნევს, რომ წლის ბოლოსთვის 1 ბარელი ნავთობი 90 დოლარამდე გაძვირდება. ზოგიერთი ანალიტიკოსი კი 100-დოლარიან ნიშნულსაც ვარაუდობს. არაა გამორიცხული, რომ ნავთობის გაძვირების და მოთხოვნის ზრდის გამო „ოპეკი პლუსმა“ 2020 წლის მარტში დადგენილ კვოტებს გადახედოს, თუმცა, სავარაუდოდ, ეს სწრაფი პროცესი არ იქნება, რადგანაც კარტელის შიგნით ქვეყნებს სხვადასხვა საკითხებზე ერთიანი აზრის გამომუშავება უწევთ, ეს კი მარტივი ამბავი არაა.

ევროკომისარი შიდა ბაზრების საკითხებში **ტიერი ბრეტონი** აღნიშნავს, რომ ენერგოკრიზისის გავლენა შესაძლოა, საგრძნობი იყოს მთელი ზამთრის განმავლობაში.

**„ვფიქრობ, ენერგეტიკასთან დაკავშირებული ეს დაძაბული სიტუაცია მთელი ზამთარი გაგრძელდება და მას აქვს ბევრი მიზეზი“,**— განაცხადა ბრეტონმა და დასძინა, რომ აღნიშნული დაკავშირებულია კორონავირუსის პანდემიის კრიზისთან, ასევე სანავთობო და გაზის საბადოების დახურვასთან, რომელმაც გამოიწვია წინადადებების შემცირება ენერგომატარებლების ბაზარზე.

**„ჩვენ გვაქვს ენერგიის ბევრი განახლებადი წყარო, თუმცა მხოლოდ ახლა გავიგე, რომ ბოლო 6 კვირაა ევროპაში არ ყოფილა ქარი. შესაბამისად, წარმოებულ იქნა ბევრად ნაკლები ელ-ენერგია, ვიდრე მოველოდით“,** — დასძინა მან.

მართალია, მთლად ევროპული კრიზისის ნიშნები არ შეიმჩნევა, მაგრამ ვითარება არასახარბიელოა საქართველოსთვისაც. ჩვენი ქვეყანა 100%-ით იმპორტირებულ საწვავზეა დამოკიდებული და მზარდი ფასები ნეგატიურ გავლენას აქაც მოახდენს. დარგის სპეციალისტები კრიზისს არა, მაგრამ საცალო ქსელში ფასის მატებას ნამდვილად ელოდებიან.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ხელმძღვანელის **ვანო მთვრალაშვილის** ვარაუდით, საწვავის გაძვირების ტენდენცია გაგრძელდება, თუმცა ამას ნახტომისებური ხასიათი არ ექნება.

**„ის გარემოება, რომ ნავთობის ფასმა 80-დოლარიან ნიშნულს მიაღწია, იმპორტიორ ქვეყნებში სერიოზულ პრობლემას ქმნის, მათ შორის, საქართველოში. ადგილობრივ ბაზარზე ბენზინიც და დიზელიც საგრძნობლად გაძვირებულია. თუკი პანდემიურ პერიოდში 1 ლიტრი ბენზინის ღირებულება 2,50 ლარის ფარგლებში იყო, დღეს 3-ლარიან ნიშნულზეა.**

**შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს, რა უფრო ურჩევნია: კიდევ უფრო მაღალი ინფლაცია, თუ ნაკლები შემოსავლები ბიუჯეტში, ანუ ის ფული, რაც ხაზინას აქციზის გაიაფების ხარჯზე დააკლდება. მარტივად არ გვაქვს საქმე, საკმაოდ მძიმე მოცემულობაა, რაც, ჯერჯერობით, ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთების საშუალებას არ გვაძლევს“,** — აღნიშნა ვანო მთვრალაშვილმა.

**ბექა დანელია**







# 622 266 საარსებო შემწეობის მიმღები ადამიანი და მუშახელის საყოველთაო დეფიციტი

**საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების დამაბრკოლებელ მთავარ მიზეზად ადამიანური რესურსები სახელდება. აგრობიზნესის მხრიდან განსაკუთრებული აქცენტი კეთდება კვალიფიციური კადრების დეფიციტზე.**

ამ პრობლემის ერთ-ერთ განმაპირობებელ გარემოებად სპეციალისტები სოციალურ შემწეობას მიიჩნევენ, რამდენადაც იოლი ფული და სტატუსთან დაკავშირებული შეღავათები ადამიანს შრომისადმი სწრაფვის სურვილს უკარგავს. აგრარული სფეროს სპეციალისტი, პროფესორი პაატა აროშიძე აცხადებს, რომ სოციალური შემწეობების გამო ადამიანები როგორც სოფლად, ასევე ქალაქშიც, ფიზიკური შრომისგან მაქსიმალურად იკავებენ თავს.

**„ქალაქში თუ ადამიანს აქვს შემწეობა, არ უღირს, რომ მუშაობა დაიწყოს რომელიმე სექტორში, თუ გაცილებით მეტს არ აიღებს. მაგალითად, ოჯახი თუ იღებს სოციალური შემწეობით 500 ლარს, 700-ლარიან ხელფასს არ დათანხმდება, რადგან სოციალურ შეღავათებს კარგავს. არაფრის კეთებით კი ფულს იღებს. მართალია, შეუძლია ერთჯერად სამუშაოზე დასაქმდეს, არც ფულად დახმარებას დაკარგავს, მაგრამ ესეც არ უნდათ. ჩვენ უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ სოციალური დახმარება რაღაც ეტაპზე კარგია, მაგრამ ოჯახის უმცროსმა შვილმა გარკვეული პერიოდის შემდეგ შეიძლება თავი დამცირებულად იგრძნოს. ოჯახი თუ ცხოვრობს სოციალურ სახლში, შვილმა შეიძლება იქ დარჩენა არც მოინდომოს, მენტალიტეტი ხელს შეუშლის. მთლიანობაში, ჩვენი მოქალაქეების უდიდესი ნაწილი მთავრობის ხელის შემყურეა და არ ცდილობს, გაექცეს შემწეობას. არის სამუშაო, დასუფთავებაში და სხვა, სადაც 200-300 ლარით მეტი შეიძლება გააკეთო, მაგრამ ამ ფასად შეღავათის დაკარგვა არ უნდათ. საკმაოდ რთულად დგას ეს საკითხი საქართველოში. ვიღაცა თუ გადაწყვეტს, რომ შეურაცხმყოფელია სახელმწიფოს კმაყოფაზე ყოფნა და თავისი საქმე დაიწყოს, გადამზადების კურსი და სხვა შესაძლებლობებია, მონდომებულ ადამიანს წინ ვერაფერი აღუდგება და სწორედ ეს უნდა დაანახოს მათ სახელმწიფომ“,** — აცხადებს **პაატა აროშიძე** ,,კომერსანტთან“ საუბარში.

მისივე თქმით, აგრონომები, დარგის ექსპერტები, ტექნოლოგები თუ სხვა მაღალი დონის სპეციალისტები ქვეყანაში ძალიან ცოტაა. რთულია მასშტაბური აგრო-პროექტების მენეჯერების, სპეც-ტექნიკის ოპერატორების, ტექნიკოსების თუ დამხმარე სპეციალისტების მოძიება. შესაბამისად, წარმოების ზრდა და ხარისხის გაუმჯობესება სერიოზული გამოწვევაა სოფლის მეურნეობაში.

შესაბამისად, მსხვილი, საშუალო და მცირე მეწარმე, კომპანიები, ფერმერული მეურნეობები — ყველგან, სადაც კი პროდუქტი იქმნება, მუშახელის არნახულ დეფიციტს განიცდიან.

ერთ-ერთი მიზეზი, მიგრაციული პროცესია, თუმცა ასევე დიდია მენტალური ფაქტორიც, შრომისადმი ქართველი ხალხის დამოკიდებულება.

**,,ბოლო რამდენიმე წელია, სოფლად მუშახელის დიდი სიმცირეა, რაც მოსავლის აღების პერიოდს ახანგრძლივებს. არის სოფლები, სადაც შრომისუნარიანი ადამიანები ფაქტობრივად აღარც დარჩნენ. ვინც წასულია სოფლიდან, ურჩევნია მშენებლობაზე წავიდეს ან თუნდაც ტაქსაობით ირჩინოს თავი, ვიდრე სოფლად დასაქმდეს. ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ რეგიონებში მძიმე სოციალური ფონია, რეალურად განათლების დონე ქალაქში მეტია, ასევე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა, ინტერნეტიზაცია არ არის დასრულებული და ამ ყველაფრის გამო ადამიანს ურჩევნია დასაქმდეს ქალაქში. უმუშევარ ქალაქელ კაცს, როგორც არ უნდა უჭირდეს, არ მოუვა აზრად, რომ წავიდეს და სოფელში ეძებოს სამუშაო, მაგალითისთვის, სამეგრელოში თხილის მოსავლის აღებისას, ბათუმში — ციტრუსის და კახეთში რთველზე დაკავდეს. ამით დიდად არც დროებით ქალაქში მცხოვრებლები იკლავენ თავს, ვინც სოფლის პრობლემას გამოექცა, მას დაქირავებულ მუშად უკან დაბრუნება არ უნდა“,** — ამბობს პაატა აროშიძე.

იგი მუშახელის დეფიციტთან ერთად, შრომის ანაზღაურების პრობლემაზეც საუბრობს.

**,,მთავრობამ უნდა გააკეთოს ანალიზი, რა სამუშაოებზე საქმდებიან უცხოეთში ქართველები. ეს არის ძირითადად თხილის ან ჩაის სეზონი, რა მხრივაც თურქეთში დასაქმების დიდი შესაძლებლობაა. მუშახელი რომ ჩავანაცვლოთ, აუცილებელია მაქსიმალურად დამუშავდეს მიწები და მოთხოვნა გაჩნდეს. მეორე მხარეა, შეძლებს თუ არა ქართველი ფერმერი ადგილობრივ მუშახელს გადაუხადოს იმდენი, რამდენსაც ჩვენი თანამემამულეები თურქეთში იღებენ. ძალიან კარგი იქნება, თუკი ქართველებს სხვა ქვეყნებში დასაქმება მონური პირობის ხარჯზე არ მოუწევთ, მაგრამ ამის რესურსს ჯერჯერობით ვერ ვხედავ“,** — ამბობს აროშიძე.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ცნობით, მოქმედი მეთოდოლოგიით შეფასებულ (შესწავლილ) ოჯახებზე გათვალისწინებულია საარსებო შემწეობის ოდენობები ასე განისაზღვრება:

**ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30 001-ზე ნაკლებია — საარსებო შემწეობა განისაზღვრება 60 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;**

**ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 30 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 57 001 ქულაზე — საარსებო შემწეობა განისაზღვრება 50 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;**

**ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 57 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 60 001 ქულაზე — საარსებო შემწეობა განისაზღვრება 40 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;**

**ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 60 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 65 001 ქულაზე — საარსებო შემწეობა განისაზღვრება 30 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;**

**ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 120 001-ზენაკლებია: 120 001-ზე ნაკლები ქულის მქონე ოჯახი, ყოველ 16 წლამდე ასაკის წევრზე მიიღებს 100 ლარის ოდენობის შემწეობას.**

აღსანიშნავია, რომ საქართველოში სიღარიბის მკვეთრი ზრდა სწორედ სამუშაო ადგილების შემცირებას უკავშირდება. მდგომარეობა ამ მხრივ საკმაოდ მძიმეა. სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, მხოლოდ ივლისში საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა 66 609 ადამიანით გაიზარდა და 2021 წლის ივლისში 622 266 შეადგინა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში კი საარსებო შემწეობას 487 790 ადამიანი იღებდა. ზრდა 27,5%-ია.

**გაიზარდა სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზაში რეგისტრირებულთა რაოდენობაც, ანუ მათი რიცხვი, ვინც თვლის, რომ ღარიბია და დახმარებას საჭიროებს. უფრო კონკრეტულად, 2021 წლის ივნისში ასეთი ადამიანების რიცხვი 1 054 567 იყო, ივლისში კი 1 059 422 შეადგინა.**

**მარი ჩიტაია**



# მეცნიერებმა შექმნეს კანზე „დასაწებებელი ვაქცინა“, რომელიც ნემსზე უფრო ძლიერ იმუნურ პასუხს წარმოქმნის

**მეცნიერებმა შექმნეს მიკრონემსებიანი „დასაწებებელი ვაქცინა“, რომელმაც გაცილებით დიდი იმუნური პასუხი უნდა წარმოქმნას, ვიდრე ტრადიციულმა ნემსმა; თანაც, ნემსთან დაკავშირებული პოტენციური ტკივილისა და მღელვარების გარეშე.**

მიუხედავად იმისა, რომ დასაწებებელ მიკრონემსებზე მუშაობა უკვე წლებია მიმდინარეობს, მათი ფართომასშტაბიანი წარმოება რთული აღმოჩნდა. გარდა ამისა, შეიძლება პრობლემა აღმოჩნდეს ერთსა და იმავე დასაკრავზე სხვადასხვა ტიპის ვაქცინის მორგება.

ახალმა კვლევამ ეს პრობლემები 3D ბეჭდვის მეთოდით დაძლია, რომელსაც თხევადი ინტერფეისის უწყვეტ წარმოებას (CLIP) უწოდებენ; დასაწებებლების შესაქმნელად ეს მეთოდი იყენებს ულტრაიისფერ სინათლეს და სპეციალურ ფისს. შედეგად, მიუხედავად რაოდენობისა, დასაკრავები არის შესაბამისი ზომის, ფორმის და ნემსებიც შესაფერისად არის განლაგებული.

**„ჩვენმა მიდგომამ მიკრონემსების პირდაპირ 3D ბეჭდვის საშუალება მოგვცა, რაც საუკეთესო მიკრონემსების წარმოების საშუალებას გვაძლევს ეფექტიანობისა და ფასის თვალსაზრისით“,** — ამბობს ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტის მიკრობიოლოგი შაომინ ტიანი.

მკვლევართა განცხადებით, დასაწებებელი მიკრონემსების წარმოების სიმარტივე და სისწრაფე შეიძლება მათი ფართო გამოყენებაში დანერგვის გარანტი აღმოჩნდეს. გარდა იმისა, რომ საჭირო აღარ იქნება ტრადიციული ნემსები, ამ დასაწებებლების კიდევ ერთი უპირატესობა ის არის, რომ მათი გაკეთება ადამიანს დამოუკიდებლად, თავად შეუძლია — ვაქცინის გასაკეთებლად არ დაგჭირდებათ ექიმი ან ექთანი.

იმიტომ, რომ მოკლე ნემსები მხოლოდ კანის ზედა ფენაში ჩადის და არა კუნთოვან ქსოვილში, ტრადიციული ვაქცინების მსგავსად. პრეპარატი პირდაპირ ხვდება კანის იმუნურ უჯრედთა სიახლოვეს, რაც ვაქცინისთვის ბრწყინვალე რამ არის. მიღების უფრო ეფექტიანი სისტემის წყალობით, შესაძლებელია დოზირების შემცირებაც.

ლაბორატორიაში თაგვებზე ჩატარებულ ცდებში მკვლევრებმა დაადგინეს, რომ დასაწებებლის მიერ წარმოქმნილი T-ლიმფოციტების და ანტიგენ-სპეციფიკური ანტისხეულების პასუხი დაახლოებით 50-ჯერ მაღალი იყო, ვიდრე ტრადიციული, კუნთში გასაკეთებელი ვაქცინების შემთხვევაში.

**„ვაქცინის მოდელი კომპონენტების გამოყენებით ვაჩვენეთ, რომ 3D დაბეჭდილი მიკრონემსის კანში გაკეთებამ უფრო ძლიერ გააქტიურა იმუნური უჯრედები, წარმოქმნა უფრო მძლავრი ჰუმორალური და უჯრედული იმუნური პასუხები, ვიდრე ტრადიციული გზით გაკეთებულმა ვაქცინებმა“,** — წერენ მკვლევრები პუბლიკაციაში.

მკვლევართა ჯგუფის განცხადებით, მათ მიერ შექმნილი დიზაინი და მიდგომა შეიძლება მოერგოს გრიპის, ჰეპატიტების და COVID-19-ის ვაქცინებს. ტრანსპორტირებისათვის საჭირო არ არის სპეციალური პირობები ან მაცივარი, რამაც შეიძლება, ვაქცინაციის მაჩვენებლები კიდევ უფრო გაზარდოს. დასაწებებლებში შესაძლებელია ბოლო მონაცემების გამოყენებაც — რამდენიმე სხვადასხვა პრეპარატის კომბინირება ერთ დასაკრავში.

მიუხედავად იმისა, რომ დასაწებებლები ადამიანებზე ჯერ არ შემოწმებულა, თუ ისინი ჩვენშიც ისეთივე ეფექტიანი აღმოჩნდა, როგორც თაგვებში, სამომავლოდ, ეპიდემიებსა და პანდემიებს ვაქცინით გაცილებით სწრაფ და ეფექტიან პასუხს გავცემთ. მკვლევრები მუშაობას აგრძელებენ და ამჯერად, ეძებენ გზებს, როგორ შეიძლება მოათავსონ რნმ ვაქცინები (Pfizer-ისა და Moderna-ს კოვიდვაქცინები) დასაწებებელ მიკრონემსებში.

**„ვიმედოვნებთ, რომ ამ ტექნოლოგიის შექმნით საძირკველს ვუყრით ვაქცინების უფრო სწრაფ გლობალურ განვითარებას, დაბალ დოზებს, თანაც, ტკივილის შეგრძნებისა და მღელვარების გარეშე“,** — ამბობს სტენფორდის უნივერსიტეტის ქიმიკოს-ინჟინერი ჯოზეფ დესიმონე.

კვლევა ჟურნალ PNAS-ში გამოქვეყნდა.

მომზადებულია unc.edu-სა და ScienceAlert-ის მიხედვით.

**მიხეილ ჭაბუკაშვილი**

## საქართველოში ხელოვნური სუნთქვის აპარატზე 248 პირი იმყოფება

**ამ ეტაპზე საქართველოში 983 მძიმე კოვიდინფიცირებული პაციენტია, ხელოვნური სუნთქვის აპარატზე კი 248 იმყოფება.**

Stopcov.ge-ზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, 983 მძიმე პაციენტიდან თბილისში მკურნალობს 356 პაციენტი, აჭარაში — 108, იმერეთში — 277. ხელოვნური სუნთქვის აპარატზე იმყოფება 248 პირი, მათგან თბილისში —137, აჭარაში — 24, იმერეთში — 27. ამ დროისთვის საქართველოში კორონავირუსის 617 753 შემთხვევაა დადასტურებული. მათ შორის გამოჯანმრთელდა 589 791, გარდაიცვალა 9 038 პაციენტი.

## სალონიკში ინფიცირების მატებაა

საბერძნეთის ხელისუფლება ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქ სალონიკში კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევების მატების გამო, ღამის საათებში კომენდანტის საათს აწესებს.

შეზღუდვები უკვე შევიდა ძალაში და ერთი კვირის განმავლობაში იმოქმედებს. ზომები მკაცრდება ქალაქ სალონიკში და მთელ რეგიონში, ასევე, მეზობელ რეგიონ ჰალკიდიკიში. როგორც სააგენტო „როიტერი“ წერს, საბერძნეთში ეპიდემიოლოგიური ვითარების სტაბილიზაციის ფონზე, ჩრდილოეთ ნაწილში ინფიცირების დღიური შემთხვევების რაოდენობის ზრდა შეინიშნება. აქ ერთ დღეში 2 232 ახალი შემთხვევა აღირიცხა, გარდაიცვალა 33 ადამიანი. საბერძნეთის მოსახლეობის დაახლოებით 58 პროცენტი სრულად ვაქცინირებულია.



## ხანძარი კოვიდსაავადმყოფოში

**ბუქარესტში, კოვიდსაავადმყოფოში გაჩენილ ხანძარს ცხრა ადამიანი ემსხვერპლა. გავრცელებული ინფორმაციით, ხანძარი ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში გაჩნდა, სადაც კოვიდპაციენტებს მკურნალობდნენ.**

რუმინეთის ჯანდაცვის მინისტრმა, ჩეკე ატილამ განაცხადა, რომ ხანძრის დროს საავადმყოფოში 113 პაციენტი იმყოფებოდა, მათ შორის 10 — ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში.

# სესხები ვერ იაფდება – მოსახლეობა წუხს, ბანკები თავს იზღვევენ

**საკრედიტო ბაზარზე რთული ვითარებაა. ერთი მხრივ, მსესხებლები ჩივიან, რომ სესხები ძალიან გაძვირდა და თანაც მათი აღება გაძნელდა, მეორე მხრივ, კი საკრედიტო ორგანიზაციებს კვლავ არასახირბიელო ფინანსური მდგომარეობა აქვთ და ამიტომ მოგების მარჟებს ზრდიან. ვითარება ახლო მომავალში ვერ შეიცვლება. მართალია ამოქმედდა სუბსიდირებული იპოთეკური სესხის პროგრამა, მაგრამ იგი მხოლოდ ვიწრო სეგმენტზეა გათვლილი, ამიტომ დიდ სარგებელს აქედან ბანკები არ ელიან, თუმცა ადასტურებენ, რომ გარკვეული გამოცოცხლება მაინც შეინიშნება.**



საბანკო ასოციაციის ხელმძღვანელი **ალექსანდრე ძნელაძე** ადასტურებს, რომ წლის ბოლომდე სესხები ვერ გაიაფდება და მომავალი წლიდანაც დიდი ცვლილება მოსალოდნელი არ არის. რადგანაც ეროვნულმა ბანკმა განაცხადა, რომ მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქებას ვერ შეძლებს, ბანკებიც ასეთ ნაბიჯს ჯერ ვერ გადადგამენ. ეროვნული ბანკი კი, სანამ ინფლაცია მაღალი იქნება, რეფინანსირების განაკვეთს არ შეამცირებს და კრედიტებიც ძვირი დარჩება.

**„საპროცენტო განაკვეთების ზრდა ერთმნიშვნელოვნად განპირობებულია რეფინანსირების განაკვეთის ზრდით. მარჟასთან მიმართებით მინდა ვთქვა, რომ საქართველოში მოზიდულ სახსრებსა და გაცემულ სესხებს შორის მარჟა არის ერთ-ერთი მინიმალური ევროპის მასშტაბით. რეალურად, დღეს სესხებზე საპროცენტო განაკვეთი არის 10,6%, ხოლო რეფინანსირების განაკვეთი — 10%. ლარში რესურსის ერთადერთი წყარო არის ეროვნული ბანკი და პერიოდულად ფინანსთა სამინისტრო, პრინციპში, ეს ასახვას ჰპოვებს ლარში საპროცენტო განაკვეთებზე.**

**გრძელვადიან პერიოდში ცალსახად ველოდებით საპროცენტო განაკვეთების შემცირებას, მათ შორის, იმ ფონზე, რომ რეფინანსირების განაკვეთი მნიშვნელოვნად დაიწყებს შემცირებას. რა თქმა უნდა, ეს მას შემდეგ, როგორც კი უფრო სტაბილურობის შეგრძნება იქნება ეკონომიკური თვალსაზისით და ასევე, ინფლაციის მაჩვენებელიც შემცირდება ქვეყანაში. ამ თვალსაზრისით, ეს მოლოდინი, ალბათ, წლის ბოლომდე ვერ გამართლდება, რადგან ეროვნულმა ბანკმა უკვე განაცხადა, რომ მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქებას ვერ შეძლებს, თუმცა მომავალი წლიდან ცალსახად უნდა ველოდოთ“,** — განაცხადა გადაცემა „საქმეში“ ძნელაძემ.

როგორც ჩანს, ბანკები ჯერ ისევ თავს იკავებენ ახალი სამომხმარებლო შეთავაზებებისგან. ამის მიზეზია ის, რომ ბაზარი საკმარისად გამოცოცხლებული არ არის. ჯერჯერობით სუბსიდირების პროგრამაა ერთ-ერთი, რაც დღეს ბაზარზე ვითარებას აუმჯობესებს.

„საქართველოს ბანკის“ მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი **ზურაბ მასურაშვილი** ადასტურებს, რომ გასულ წელს სუბსიდირებამ სექტორს ხელი შეუწყო, რომ გაყიდვები ჰქონოდათ და ამიტომაც კომპანიებისთვის ძალიან კარგი წელი იყო. ახლა კი მთლად ასე არ არის.

**„იმდენად კარგი წელი იყო, რომ მომხმარებლები, რომლებიც ბინის შეძენას არ ჩქარობდნენ, მათაც 2020-ში შეიძინეს.**

**როდესაც რამე სახის პროგრამა იწყება, მას დრო სჭირდება. მომართვიანობა სუბსიდირებასთან დაკავშირებით გვაქვს, რაც დროის გასვლასთან ერთად იზრდება. თუმცა, სუბსიდირების ახალ პროგრამას კონკრეტული ვადაც არ აქვს და ხალხი ჯერ არ ჩქარობს. იმედი მაქვს, რომ ეს სექტორი კარგი შედეგებით დახურავს ამ წელს“,** — განაცხადა მასურაშვილმა.

„აწარმოე საქართველოში“ ახალი პროგრამა — „სუბსიდირებული იპოთეკური სესხი“ 1-ლი სექტემბრიდან ამოქმედდა. პროგრამა მიზნად ისახავს, როგორც უძრავ ქონებაზე მოთხოვნის სტიმულირებას, ასევე, მრავალშვილიანი ოჯახების ან ისეთი ოჯახების მხარდაჭერას, რომლებსაც ჰყავთ ახალშეძენილი შვილები. სუბსიდირებული იპოთეკური სესხის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დღეის მდგომარეობით, უკვე 47 იპოთეკური სესხი გაიცა, ხოლო 17 განხილვის პროცესშია.

**ბექა დანელია**

# როგორ გამოეხმაურა უცხოური პრესა მიხეილ სააკაშვილის დაკავებას?!



**უცხოური პრესა საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დაკავების ამსახველი ფოტოებით აჭრელდა. უცხოური მედიაში გაჩნდა სათაურები – „საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ დააკავეს“, „საქართველოს პრეზიდენტი გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ დაიჭირეს“ და ა.შ.**

**გთავაზობთ უცხოური პრესის მიმოხილვას ექს-პრეზიდენტის დაკავებასთან დაკავშირებით:**

**„ქართულმა პოლიციამ ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დააკავა მას შემდეგ, რაც ოპოზიციონერი პოლიტიკოსი სამშობლოში დაბრუნდა. სააკაშვილი, რომელიც უკრაინაში ცხოვრობდა, 2018 წელს ქართულმა სასამართლომ დაუსწრებლად გაასამართლა. ამის მიუხედავად, მან კვირის დასაწყისში განაცხადა, რომ სამშობლოში ბრუნდება, რათა თანაგუნდელებს „ქვეყნის გადარჩენაში“ დაეხმაროს.**

პარასკევს სოციალური ქსელით მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ის საქართველოში ფარულად დაბრუნდა. საკუთარ ვიდეომიმართვაში ის მხარდამჭერებს მოუწოდებდა, რომ ხმა ოპოზიციას მისცენ, ხოლო კვირას დედაქალაქის ცენტრში შეიკრიბონ.

**საქართველოს ხელისუფლებამ თავიდან, ყოფილი პრეზიდენტის სამშობლოში დაბრუნება უარყო. თუმცა, დღის ბოლოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განცხადება გააკეთა, რომ სააკაშვილი დააკავეს. მოგვიანებით მიხეილ სააკაშვილის დაკავების ვიდეო გავრცელდა, სადაც ჩანს ორ პოლიციელს მომღიმარი მიხეილ სააკაშვილი ციხეში როგორ შეჰყავთ“,** – წერს **„როიტერი“**.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი დააპატიმრეს მას შემდეგ, რაც ის ქვეყანაში დაბრუნდა.

საქართველოში დაბრუნებამდე, 53 წლის სააკაშვილმა სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეოში განაცხადა, რომ ის საკუთარი სიცოცხლით რისკავს სამშობლოში დაბრუნებას. ვიდეომიმართვაში ის ამბობდა, რომ საქართველოს ზღვისპირა ქალაქში იმყოფებოდა. მხარდამჭერებს კი აქციის გამართვისკენ მოუწოდებდა.

**„ჩვენ ყველას უნდა გვესმოდეს, რომ „ქართული ოცნებისთვის“ ხმის მიცემა ნიშნავს სიკვდილით დასჯაზე ხელმოწერას. ამიტომ, ჩვენ ყველანი 2 ოქტომბერს არჩევნებზე უნდა მივიდეთ, რათა საქართველო გადავარჩინოთ. 3 ოქტომბერს კი არჩევნების შედეგების დასაცავად გარეთ უნდა გავიდეთ“,** – განაცხადა სააკაშვილმა.

თუმცა, სამშაბათს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ თუკი სააკაშვილი ქართულ მიწაზე ფეხს დაადგამს, მას მაშინვე დააკავებენ და დააკავეს კიდეც.

**„მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტის პოსტს 2004 წლიდან 2013 წლამდე იკავებდა. ქართულმა სასამართლომ რამდენიმე საქმეში ის დამნაშავედ ცნო, რის გამოც ის უკრაინაში ემიგრანტად ცხოვრობდა“,** – ასე ეხმაურება **„ევრონიუსი“** მიხეილ სააკაშვილის დაკავებას.

საქართველოს მესამე პრეზიდენტის დაკავება არც **„ბიბისის“** გამოჰპარვია და ცნობილმა ამერიკულმა გამომცემლობამ ვრცელი მასალა მიუძღვნა.

**„საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ დააკავეს“.**

**„პროდასავლური სააკაშვილი კავკასიაში მდებარე ქვეყანას 2004 წლიდან 2013 წლამდე ხელმძღვანელობდა. თუმცა, მოგვიანებით ის დაუსწრებლად კორუფციის ბრალდებით გაასამართლეს, რასაც ის უარყოფს.**

**პარასკევს მან ვიდეო გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ ის საქართველოში დაბრუნდა. რამდენიმე საათის შემდეგ კი, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ სააკაშვილი დაკავებულია.**

**თავდაპირველად, ქვეყნის ხელისუფლებამ უარყო ყოფილი პრეზიდენტის ქვეყანაში შესვლა. მოგვიანებით კი ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა: „მინდა საზოგადოებას ვაცნობო, საქართველოს მესამე პრეზიდენტი, ძებნილი მიხეილ სააკაშვილი დაკავებულია და ციხეში გადაიყვანეს“.**

ცნობისთვის, მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში ცხოვრობდა. საქართველოდან წასვლის შემდეგ, მან 2015 წელს ქვეყნის მოქალაქეობაზე უარი თქვა. სამი წლის შემდეგ ქართულმა სასამართლომ იგი სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადაჭარბების გამო გაასამართლა და 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მისი თქმით, ბრალდებები პოლიტიკურად მოტივირებულია.

**„ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში 2012 წლიდან არის. გასულ წელს საპარლამენტო არჩევნებში მორიგი გამარჯვება მოიპოვა“,** – წერს **„ბიბისი“**.

მიხეილ სააკაშვილის დაკავებას გერმანული გამომცემლობა **„დოიჩე ველემაც“** მიუძღვნა სტატია.

**„უკრაინული გადასახლებიდან დაბრუნებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილი დააპატიმრეს.**

**„საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დღეს დააკავეს და ციხეში გაგზავნეს“,** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

დაპატიმრება მოხდა რამდენიმე საათში მას შემდეგ, რაც ყოფილმა ლიდერმა ფეისბუქზე გამოაქვეყნა განცხადება მისი დაბრუნების შესახებ. სააკაშვილი, რომელიც ე.წ „ვარდების რევოლუციის“ დროს მოვიდა ხელისუფლებაში, იყო ქვეყნის პრეზიდენტი 2004 წლიდან 2013 წლამდე.

სააკაშვილმა, რომელმაც თქვა: „მე გავრისკე ჩემი სიცოცხლე და თავისუფლება, რომ დავბრუნდე“, მოუწოდა მის ერთგულ მხარდამჭერებს, გამოვიდნენ ქუჩაში, რათა დაუპირისპირდნენ დღევანდელ ხელისუფლებას.

სააკაშვილის დაკავების შემდეგ, უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო იძულებული გახდა გამოეძახა საქართველოს ელჩი კიევში. უკრაინის პრეზიდენტმა **ვლადიმერ ზელენსკიმ,** რომლის მრჩეველიც იყო სააკაშვილი, განაცხადა, რომ ის შეშფოთებულია თბილისიდან გაკეთებული განცხადებების „ტონით“.

**სააკაშვილმა საქართველო დატოვა მას შემდეგ, რაც მისმა პარტიამ ქვეყანაში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში წააგო. 2018 წელს იგი დაუსწრებლად გაასამართლეს და მიესაჯა ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა. მან გააკრიტიკა ეს ნაბიჯი და თავი პოლიტიკურ პატიმრად მიიჩნია. ამის შემდეგ, ის გახდა უკრაინის პოლიტიკური ნაწილი. პირველად მჭიდროდ თანამშრომლობდა ყოფილ პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოსთან, სანამ მათი ურთიერთობა დაიძაბებოდა“,** – წერს გერმანული გამომცემლობა.

**ქეთი გიორგაძე**

## აშშ თურქეთს აფრთხილებს

**აშშ თურქეთს მოუწოდებს, რუსეთისგან იარაღის შესყიდვა შეწყვიტოს,** – ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ვენდი შერმანმა განაცხადა.

**„თურქეთს ყველა დონეზე მოვუწოდეთ, არ დაიტოვოს C-400-ის სისტემა და თავი შეიკავოს დამატებითი რუსული სამხედრო აღჭურვილობის შეძენისგან. თურქეთს მკაფიოდ ვუცხადებთ, რომ ამას შედეგები მოჰყვება. C-400 არ არის თავსებადი ნატოს სისტემებთან“,** – აღნიშნა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ.

27 სექტემბერს, თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ თურქეთი უფრო მეტი რუსული თავდაცვის სისტემის შეძენას გეგმავს.

**„მომავალში ვერავინ ჩაერევა იმ თვალსაზრისით, თუ რა სახის თავდაცვის სისტემებს შევიძენთ, რომელი ქვეყნიდან და რა დონეზე. ვერავინ ჩაერევა ამაში. გადაწყვეტილებებს მხოლოდ ჩვენ მივიღებთ“,** – აღნიშნა თურქეთის პრეზიდენტმა ტელეკომპანია CBS News-თან ინტერვიუში.

## სომხეთ-აზერბაიჯანის სარჩელს გაეროში განიხილავენ

**გაეროს საერთაშორისო სასამართლო უახლოეს მომავალში სომხეთისა და აზერბაიჯანის სარჩელებს განიხილავს. როგორც სასამართლოში აცხადებენ, 14-15 ოქტომბერს სასამართლოში სომხეთის სარჩელთან დაკავშირებით მოსმენებს გამართავენ, ხოლო 18-19 ოქტომბერს უკვე აზერბაიჯანის მოთხოვნაზე გაიმართება მსჯელობა. როგორც სასამართლოს მიერ გამოქვეყნებულ პრესრელიზშია ნათქვამი, „კოვიდ-19“-ის პანდემიის გათვალისწინებით, სხდომა ჰიბრიდულ რეჟიმში გაიმართება.**




სომხეთმა გაეროს საერთაშორისო სასამართლოს 16 სექტემბერს მიმართა და აზერბაიჯანი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის დარღვევაში დაადანაშაულა. ბაქომ ამავე სასამართლოში საჩივარი გასულ კვირას შეიტანა. აზერბაიჯანი სომხეთს „ეთნიკურ წმენდაშიც“ ადანაშაულებს და ისევე, როგორც სომხეთი, მოითხოვს დროებითი „შემზღუდავი ზომების გატარებას, რაც აუცილებელია მოსახლეობის დასაცავად“.

## ბელარუსში ჯაშუშმა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი მოკლა

**მამაკაცი, რომელმაც სპეცოპერაციის დროს ბელარუსის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი მოკლა, მეუღლესთან ერთად პოლონეთსა და აშშ-ში ინფორმაციას გადასცემდა,** – ამის შესახებ ბელარუსის პრეზიდენტმა, ალექსანდრ ლუკაშენკომ განაცხადა.

ბელარუსის პრეზიდენტის თქმით, უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის მკვლელი იყო არა მხოლოდ საპროტესტო აქციების აქტიური მონაწილე, არამედ აჯანყების მონაწილეც. ბელარუსის მედიის ინფორმაციით, 28 სექტემბერს საცხოვრებელი კორპუსის ერთ-ერთი ბინაში სპეციალური ღონისძიებების ჩატარების დროს, ბინაში მყოფმა მამაკაცმა ცეცხლი გახსნა და ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი მოკლა. საპასუხო ცეცხლის შედეგად, მამაკაცი სამართალდამცველებმა მოკლეს.

## უკრაინის გავლით გაზს ვერ მიიღებს



**რუსულმა კომპანია „გაზპრომმა“ უნგრეთისთვის უკრაინის გავლით ბუნებრივი აირის მიწოდება შეწყვიტა. 27 სექტემბერს გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით, უნგრეთს გაზი ბალკანური ნაკადის საშუალებით მიეწოდება, რომელიც თურქული ნაკადის გაგრძელებაა.**

უნგრეთი „გაზპრომისგან“ წლიურად 4.5 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მიიღებს, კონტრაქტის ხანგრძლივობა კი 15 წელია. 28 სექტემბერს, „გაზპრომთან“ გაფორმებულ კონტრაქტზე რეაქციის გამო, უნგრეთმა უკრაინა სუვერენიტეტის დარღვევაში დაადანაშაულა.

## საბერძნეთი ძველ შეცდომებს არ გაიმეორებს!

**საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა, კირიაკოს მიცოტაკისმა განაცხადა, რომ საბერძნეთი მის საზღვრებთან 2015 წლის საიმიგრაციო კრიზისის გამეორებას არ დაუშვებს. 2015 წელს საბერძნეთი ევროპის საიმიგრაციო კრიზისის წინა ხაზზე იდგა, როდესაც სირიაში, ერაყსა და ავღანეთში კონფლიქტის გამო გაქცეული მილიონი ადამიანი საბერძნეთის კუნძულებზე აღმოჩნდა.**

ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნების მსგავსად, საბერძნეთი შეშფოთებულია, რომ ავღანეთში განვითარებულმა მოვლენებმა მსგავსი კრიზისი შეიძლება გამოიწვიოს.

## ვოლფ მესინგი:

# „როცა სხვის აზრებს ვკითხულობ...“



**უნდა გავიმეორო, რაც ზემოთ უკვე მაქვს ნათქვამი: ტყუილის სათქმელად და ამბის გასაზვიადებლად არავითარი მიზეზი არა მაქვს. სხვის აზრთა „გასაგონად“ მე გრძნობებისა და ძალთა საგანგებოდ მოკრეფა მჭირდება. მაგრამ, როგორც კი ამ მდგომარეობას მივაღწევ, ნებისმიერი ადამიანის ტელეპათიურ აზრთა „მოსმენა“ და „წაკითხვა“ ჩემთვის არანაირ სიძნელეს არ წარმოადგენს. თანაც, ფაქტობრივად, ნებისმიერი აზრის. ინდუქტორთან ხელის შეხება მეხმარება საერთო ხმაურში ჩემთვის საჭირო აზრთა გამოყოფაში, თუმცა კი ყოველივე ამის გაკეთება ხელის შეუხებლადაც შემიძლია. სხვათა შორის, როცა თვალებს მიხვევენ, მუშაობა მიადვილდება, რადგან მაშინ მთლიანად**
ინდიკატორის მხედველობაზე გადავდივარ. თვალახვეული კი დარბაზში იმიტომ ვმოძრაობ თავისუფლად და დაბრკოლებებს არ ვეჯახები არა იმიტომ, რომ კარგად დავიმახსოვრე კიბეებისა და კარების განლაგება, არამედ იმიტომ, რომ ამ დროს ყოველივე იმას „ვხედავ“, რასაც ხედავს ინდუქტორი.



ყველაზე საუკეთესო ინდუქტორები ყრუ-მუნჯები არიან. ეს, ალბათ, იმის გამო, რომ ისინი ძალიან მკვეთრად, სახოვნად და არა სიტყვებით წარმოისახავენ დავალებას, რომელიც მე უნდა შევასრულო. ისიც უნდა ვთქვა, რომ მაყურებელთა კეთილგანწყობის პირობებში მუშაობა ადვილია. ყველაზე ძნელი მუდამ პირველი ცდაა. სწორედ მისით მოწმდება მსახიობის სულიერი განწყობა, მისი მობილიზების დონე, ის იწვევს მაყურებლისა და ჟიურის თანაგრძნობას. ამიტომაცაა, რომ ყოველთვის ყველა ადვილი ცდით — ფოსტით ვიწყებ ხოლმე. ისე კი, რაც უფრო თავისებურია და რთული დავალება, მით უფრო ადვილია და საინტერესო მისი შესრულება. მთელი სეანსის განმავლობაში მე საკუთარ ძალებში სრულიად დარწმუნებული უნდა ვიყო. ეს, როგორც ჩანს, ზოგადსაკაცობრიო მოთხოვნილებაა ყველა რთული და სარისკო სამუშაოს შესრულებისას. მაგალითად, ასეა ბაგირზე მოსიარულეც, რომელიც წამითაც კი ვერ ბედავს გაფიქრებას იმაზე, რომ შეიძლება ჩამოვარდეს.

აი, ყველაფერი ის, რის დამატებაც შემიძლია იმ მარადიულ კითხვაზე: — როგორ ვახერხებ სხვისი აზრების წაკითხვას?

ახლა კი მინდა რამდენიმე დავალება გაგაცნოთ, რომლებიც „ფსიქოლოგიური ცდების“ დროს მიმიღია და რომლებიც სრულად და ზუსტად შემისრულებია — ისინი ბარათების სახით სხვადასხვა პერიოდის გამოსვლებიდან შემომრჩა.

„— ჩემი კოსტუმის მარჯვენა ჯიბიდან ამოიღეთ 1964 წლის კალენდარი;

— გადაშალეთ ნოემბერზე;

— ამოშალეთ დღევანდელი რიცხვი — 19.XI.1964;

— ჩემი პიჯაკის მარცხენა ჯიბიდან ამოიღეთ შავი პარკი, რომელშიც ფოტოსურათებია;

— მათ შორის მოძებნეთ ისინი, რომლებზეც აღბეჭდილია ქუდიანი ყმაწვილი, რომელსაც ხელში ჯაგრისი უჭირავს, მეორეზე კი შავკაბიანი ქალიშვილი;

— მოძებნილი ფოტოებით დარბაზში მონახეთ ის ყმაწვილი და ქალიშვილი;

— დაბეჯითებით გთხოვთ, დაასახელოთ ჩემი შეყვარებული ქალიშვილის სახელი. მისი გაგება ასე შეგიძლიათ: მე-11 რიგის მე-6 სკამზე ზის ქალიშვილი. მას ხელჩანთა უნდა გამოართვათ, გახსნათ ის და იქიდან „მსოფლიოს ატლასი“ ამოიღოთ. ჩანთიდან ასევე ამოიღეთ წითელ-ლურჯი, ორივე მხრიდან წათლილი ფანქარი და აუცილებლად ლურჯი ფერით 4-5 გვერდებზე აღნიშნეთ სსრ კავშირის შემდეგი ქალაქები: ნოვოსიბირსკი, ირკუტსკი, ნიკოლაევი და ალმა-ატა. უნდა წაიკითხოთ ამ სახელწოდებების პირველი ასოები და გაიგებთ ქალიშვილის სახელს“.

* * *

**ახლა კი მინდა რამდენიმე სიტყვით შევეხო ჩემი შესაძლებლობების კიდევ ერთ მხარეს, კერძოდ, ჰიპნოზის უნარს, რომლის ფლობის ჩემი დონე, საჯაროდ ცნობილს იმდენად სცილდება, რომ უფლება არ მაქვს ამის შესახებ არ განვაცხადო.**

ჰიპნოზის ისტორიასა და მისი არსის შესახებ ლაპარაკს არ ვაპირებ, იმას ვტყვი მხოლოდ, რომ ის უძველესი წარმოშობისაა. რელიგიური მიზნებით მას ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტის ქურუმები იყენებდნენ და მას შემდეგ, ვიდრე მე-19 საუკუნემდე, მას უმთავრესად, სხვადასხვა კულტის მსახურები იყენებდნენ: მასში არის რაღაც იდუმალი და გაუგებარი, ამიტომაც მისი მოხერხებულად გამოყენება ხალხში უზენაესი ძალების არსებობაში რწმენას აძლიერებდა.

ჰიპნოზს ერთმანეთის მეტად განსხვავებული ფორმები აქვს. მაგალითად, შამანის როკვა — ესეც თავისებური თვითჰიპნოზია, ხოლო ამის შედეგად სნეულის „განკურნება“ — ჰიპნოზური დარწმუნების შედეგია. ჰიპნოზის მდგომარეობაში თავი მოჰყავთ მორწმუნეებს, რომლებიც ბევრ რელიგიაში მიღებულ მოკლე ლოცვებს, მაგალითად, „ღმერთო, შენ გვიშველე!“-ს მრავალჯერად იმეორებენ. როცა კაცი ამას ასჯერ და ათასჯერ იმეორებს, იგი ჰიპნოზურ მდგომარეობაში შედის. იგივე ეფექტი აქვს ხატების წინ მრავალჯერად მუხლმოდრეკილ ქედის მოხრას.

თანამედროვე მეცნიერება ჰიპნოზის სამ სახეობას არჩევს. **პირველია — ძილის მორევა,** როცა ადამიანი სხეულში უჩვეულო სიმძიმეს გრძნობს, თვალის გახელა უჭირს, მოსვენება უნდა. სწორედ ამ მდგომარეობაში ისმენს გრძელ, საეკლესიო ლოცვებს მორწმუნეთა უმრავლესობა. **მეორე სტადიას ჰიპოთაქსია** ეწოდება. ამ მდგომარეობაში ადამიანის სხეული ცვილის მოქნილობასა და სირბილეს აღწევს, რა დროსაც ნებისმიერ, რაგინდ უხერხულ მდგომარეობაში ყოფნა მას არანაირად არ აწუხებს. **ჰიპნოზის მესამე სტადია სომნაბულიზმია,** რა დროსაც ამ მდგომარეობაში მყოფი კაცი სრულად მოწყვეტილია გარეშე გამღიზიანებლებს, გარდა იმ პირისა, ვინც იგი ამ მდგომარეობაში შეიყვანა.

ჰიპნოზის მდგომარეობაში, ადამიანის სხეულსა და ფსიქიკაზე უდიდეს ძალაუფლებას იღებს ჰიპნოზიორი მისი სიტყვა. ესაა აბსოლუტური ძალაუფლება, რომლის მსგავსი, შემთხვევათა უმრავლესობაში, გამოსაცდელ კაცს საკუთარ სხეულზე არა აქვს. ამ მდგომარეობაში ბევრს ტელეპათიური უნარი უმძაფრდება. შთაგონება ჰიპნოზიორის თავის ტვინიდან შეიძლება პირდაპირ დაჰიპნოზებულის თავის ტვინში მოხვდეს. არსებითად, სწორედ ამ მოვლენის აღმოჩენით დაიწყო ტელეპათია.

ჰიპნოზის ზოგადი ახსნა მიგნებულია: **ის ქალა-ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქის მეტ-ნაკლებ დამუხრუჭებაში გამოიხატება**. მთლიანად ქერქის ანდა მისი ცალკეული უბნების დამუხრუჭება შეიძლება სხვადასხვა, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური მიზეზით ხდებოდეს. ვთქვათ, ძლიერი შიშის მიზეზით კაცმა მეტყველების უნარი დაკარგოს.

თუმცა კი ჰიპნოზი მაინც ჯერჯერობით ნაკლებად შესწავლილი მოვლენაა, რომლის მრავალი გამოვლინების ახსნა თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქის დამუხრუჭებით, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

ზემოთ აღვწერე რამდენიმე ავტობიოგრაფიული შემთხვევა, რა დროსაც ამა თუ იმ პირისთვის რაღაც აზრის უცბად შთაგონების აუცილებლობის წინაშე აღმოვჩნდი — ვთქვათ, ბერლინის ექსპრესში, ანდა უმკაცრესად დაცულ კაბინეტში შეღწევისას. მსგავსი რამის გაკეთების უფლება საკუთარ თავს კიდევ ერთხელ მივეცი. დაახლოებით იმავე დროს, მომიწია საუბარი ერთ მეტად მაღალი თანამდებობის პირთან **(ეს, დიდი ალბათობით, იოსებ სტალინი იყო — ო. ტ.),** რომელმაც, როგორც ჩანს, ხუმრობით მითხრა:

— აბა, ამხანაგო მესინგ, შეძლებთ აქედან ისე გასვლას, მე თუ საშვზე ხელს არ მოგიწერთ?

მეც რაღაც ეშმა შემიჩნდა:

— ამ ქაღალდის გარეშე? თუ გნებავთ, სამახსოვროდ დაიტოვეთ!..

— არა, მოითმინეთ! რას იტყვით იმაზე, მე დამატებით დაცვაც რომ გავაფრთხილო?

— როგორც გენებოთ!

კომენდატმა მიიღო ბრძანება: „ხელმოუწერელი საშვის გარეშე მესინგი კაბინეტიდან არ გაუშვათ!“ თანაც მდივან ქალს მიეცა მითითება ათიოდე ნაბიჯში უკან გამომყოლოდა, თუმცა კი ჩემი მოქმედებებისთვის ხელი არ შეეშალა.

როცა ორიოდე წუთში ქუჩაში გავედი, მესამე სართულზე კაბინეტის ფანჯარას გავხედე, რომელშიც ცოტა ხნის წინ ვიმყოფებოდი და ჩემი თანამოსაუბრე დავინახე. ანცობის ხასიათზე დავდექი და ხელი დავუქნიე, იმან კი, როგორც მომეჩვენა, გადაიხარხარა...

* * *

**ახლა ცოტა რამ სახალხო მედიცინის შესახებ.**

**ბევრს, ალბათ, უნახავს, ან გაუგონია მაინც, რომ ექიმბაშებმა ათასნაირი შელოცვა იციან, ვთქვათ, ჭრილობის, იარის ან კბილის ტკივილის დროს ისინი რაღაცას ბუტბუტებენ, უცნაურ მოძრაობებს აკეთებენ და... რამდენიმე ხანში სისხლიც ჩერდება, კბილის ტკივილიც ყუჩდება.**

გასაოცარია? დიახ, მაგრამ, ამაში არანაირი ჯადოსნობა ან „იმქვეყნიური“ ძალების ჩართულობა არ არის: **ეს მხოლოდ ჰიპნოზის ერთ-ერთი სახეობაა**.

ამის შესახებ ასეთი დარწმუნებით იმიტომ ვლაპარაკობ, რომ თავადვე შემიძლია კბილისა თუ თავის ტკივილის გაყუჩება, არანაკლებად, ვიდრე ამას ხალხში ყველაზე პოპულარული ექიმბაშები აკეთებენ, თუმცა კი, ცხადია, ყოველგვარი „შელოცვებისა“ და შამანური ცეკვების გარეშე: მე, უბრალოდ, პაციენტს ვუცქერ და გუნებაში... საკუთარ, სრულიად ჯანსაღ ყბას წარმოვიდგენ, რომელზეც არც ერთი კბილი არ მტკივა. თან ამ დროს პაციენტს ველაპარაკები. ცოტაც და... კბილის ტკივილი მას უყუჩდება. ეს იმდენსავე დროს იკავებს, რამდენიც თქვენ ამ აბზაცის წასაკითხად დაგჭირდათ, პატივცემულო მკითხველო.

ანალოგიურად ვხსნი თავის ტკივილსაც. როგორც ჩანს, სწორედ ასე კურნავენ შუააზიელი თალიბები და შემლოცველები გველის დაკბენილებს.

მართებული არ იქნება, თუკი ორიოდე სიტყვას მაინც არ ვიტყვი იმის შესახებ, რომ ჰიპნოზს ზოგჯერ ფსიქიკურ დაავადებათა სამკურნალოდაც ვიყენებდი. ამას შორეულ წარსულში, იმ დროს ვაკეთებდი, როცა სამეცნიერო რეკომენდაციების თაობაზე არაფერი ვიცოდი და მხოლოდ საღი აზრით ვხელმძღვანელობდი.

აქვე იმასაც ვიტყვი, რომ იმის მიუხედავად, რომ ჰიპნოზით შემიძლია კაცს ხელი ავაღებინო თამბაქოს მოწევაზე, სხვა ნარკოტიკებზე, სპირტიანი სასმელების მოხმარებაზე, პროფესიულად ამ საქმეს არ მივდევ. თუკი ნებისყოფა არ გყოფნით, რომ ალკოჰოლს შეეშვათ — ექიმებს უნდა მიმართოთ, მათ მკურნალობის ჩინებული, მრავალჯერ ნაცადი მეთოდები აქვთ. თუკი თამბაქოს მოწევა არ გინდათ — ნუ მოწევთ და მორჩა.

ისე კი, ისიც უნდა გითხრათ, რომ როცა ჩემს ავადმყოფებს ალკოჰოლისადმი ზიზღს ვუნერგავდი, თავადაც — თანაც თვეების განმავლობაში! — სპირტიანი სასმელების სუსტ სუნსაც ვერ ვიტანდი!.. როცა ჩემ მიერ მკურნალობის დანიშნული ვადა მთავრდება, ღვინისადმი ზიზღი მე კი გამდის, მაგრამ განკურნებული ადამიანი მას წლების განმავლობაში ინარჩუნებს. მერე კი ყველაფერი უკვე თავად მასზეა დამოკიდებული.

ჰიპნოზი ფსიქიკის გასაოცრად სუსტად შესწავლილი სფეროა, რომლის საიდუმლოებათა ახსნა კაცობრიობას არაჩვეულებრივ შესაძლებლობებს უქადის. ამ მტკიცების საილუსტრაციოდ მინდა შედარებით ახალი ტერმინის — „ჰიპნოპედიის“ შესახებ ვთქვა ორიოდე სიტყვა. **ესაა ძილში, ჰიპნოზის თავისებური ფორმის მეშვეობით სწავლების მეთოდი**. მისი არსი მარტივია. ვთქვათ, კაცს ინგლისური ენის შესწავლა სურს, რაც საკმაოდ რთული და საკირკიტო საქმეა, მით უმეტეს მოწიფულ ასაკში. ამ ხანგრძლივი პროცესის ყველაზე უსიამოვნო გარემოება კი სიტყვების „გაზუთხვა“. ჰოდა, ჰიპნოპედიის მეშვეობით შესაძლებელია ამისთვის თავის არიდება — მთელი გაზუთხვა ძილის დროს ხდება...

ერთი სიტყვით, ჰიპნოზი სახიფათო იარაღია, ამდენად, ისევე, როგორც ატომურ ენერგიას, მისი გამოყენებისას დიდი სიფრთხილე გვმართებს.

თარგმნა
**ოთარ ტურაბელიძე**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №159-160, 161-162, 168, 170, 177

ⓞ თაობა

# „ოქროთის“ გავმდიდრდით


ზაზა ლომთაძე


რევაზ დავითაძე

**ძალოსანთა ახალგაზრდულ ევროპის ჩემპიონატზე, რომელსაც ფინეთის ქალაქ როვანიემი მასპინძლობდა, ქართული დელეგაციის ყულაბაში ერთადერთი „ოქრო“ 102 კგ წონითი კატეგორიის შტანგისტმა ზაზა ლომთაძემ ჩააჩხრიალა, რომელმაც 20-წლამდელთა ტურნირის აკვრაში აჯობა თანატოლებს.**

მანვე მეორე ადგილები დაიკავა ატაცსა და ორჭიდში, 23-წლამდელთა 89 კგ წონით კატეგორიაში კი **რევაზ დავითაძემ** სამივე დისციპლინაში კონტინენტის ვიცე-ჩემპიონობა მოიპოვა. რაც შეეხება დასკვნით აკორდს, 20-წლამდელებში ერთბაშად 3 „ბრინჯაო“ 109 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე **აკაკი ტალახაძემ** მოიხვეჭა. ასე რომ, „ჯვაროსანთა“ მონაგარი 1 „ოქრომდე“, 8 „ვერცხლამდე“ და 4 „ბრინჯაომდე“ გაიზარდა.



აკაკი ტალახაძე

ⓞ ბრძენთა თამაში

# ქულის ფასი




**დრამატულად განვითარდა მოვლენები კატალონიის პატარა ქალაქ სიტჯესში, სადაც მოჭადრაკე ქალთა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატში 2015 წლის ჩემპიონ ქართველ დიდოსტატებს ერთი ქულა დააკლდათ ფინალური შეხვედრის საგზურის მოსაპოვებლად.**

მეოთხედფინალში აზერბაიჯანთან იოლად მოგებული მატჩის შემდეგ (3,5:0,5, 2:2) ჩვენი ნაკრები ლელა ჯავახიშვილის ჩინებული თამაშის მიუხედავად ინდოელებთან დამარცხდა – 2:2, 1,5:2,5 და მხოლოდ „ბრინჯაოს“ დაეუფლა, უკვე მეოთხედ.

მეტოქეებთან საკუთარი პარტიები ნინო ბაციაშვილმა და მერი არაბიძემ დათმეს, სატიტულო ბრძოლის მონაწილე კი ინდოეთთან ერთად რუსეთი გახდა.

ⓞ მუნდიალი – 2022

# სტუმარ-მასპინძელი

**საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვილი სანიოლმა ოქტომბრის მატჩებისთვის შემადგენლობა დაასახელა, რომელშიც 24 ფეხბურთელია.**

ამჯერად სანიოლის სიაში არცერთი ახალი სახე, დებიუტანტი არაა. სამაგიეროდ, გუნდს დაუბრუნდნენ **თორნიკე ოქრიაშვილი, ნიკა კვეკვესკირი** და **ვაკო გვილია,** რომელიც ფრანგ სპეციალისტს სექტემბერში გამოძახებული არ ჰყავდა.

მიმდინარე საკვალიფიკაციო ეტაპზე მიღებული ყვითელი ბარათების გამო გრიგოლ ჩაბრაძე და გურამ კაშია საბერძნეთის წინააღმდეგ ვერ ითამაშებენ. ორივე ფეხბურთელი საწვრთნელ შეკრებას სრულად გაივლის და ეროვნულ ნაკრებთან ერთად კოსოვოს წინააღმდეგ დაგეგმილი მატჩისთვის მოემზადება. საქართველოს ნაკრები დღეს შეიკრიბება.




### საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობა

**მეკარე:** გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლაზარე კუპატაძე (დინამო ბათუმი, საქართველო)

**დაცვა:** გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე (კრაკოვია, პოლონეთი), დავით ხოჭოლავა (კოპენჰაგენი, დანია), გურამ გიორბელიძე (დინამო, გერმანია), გრიგოლ ჩაბრაძე (დინამო ბათუმი, საქართველო), ირაკლი აზაროვი (დინამო ბათუმი, საქართველო), ლუკა ლოჩოშვილი (ვოლფსბერგერი, ავსტრია), ლაშა დვალი (ფერენცვაროში, უნგრეთი)

**ნახევარდაცვა/თავდასხმა:** ჯაბა კანკავა (სლოვანი, სლოვაკეთი), გიორგი აბურჯანია (ჟილ ვისენტე, პორტუგალია), საბა ლობჟანიძე (ჰათაისფორი, თურქეთი), ნიკა კვეკვესკირი (ლეხი, პოლონეთი), ხვიჩა კვარაცხელია (რუბინი, რუსეთი), გიორგი ჩაკვეტაძე (გენტი, ბელგია), ზურიკო დავითაშვილი (არსენალი, რუსეთი), ვაკო გვილია (რაკოვი, პოლონეთი), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), ვლადიმერ მამუჩაშვილი (დინამო ბათუმი, საქართველო), გიორგი წიტაიშვილი (ჩერნომორეცი, უკრაინა), თორნიკე ოქრიაშვილი (აპოელი, კვიპროსი), გიორგი მიქაუტაძე (სერენი, ბელგია)

შეგახსენებთ, რომ საქართველო 9 ოქტომბერს ბათუმში საბერძნეთს უმასპინძლებს, ხოლო 12 ოქტომბერს სტუმრად კოსოვოს დაუპირისპირდება. ვილი სანიოლის გუნდს ხუთ თამაშში ერთი ქულა აქვს მოპოვებული და ჯგუფში ბოლო ადგილზეა.

უკანასკნელ მომენტში საეჭვო გახდა ოთარ კიტეიშვილის თამაში, რომელმაც მორიგი ტრავმა მიიღო.

ამასობაში ელადელთა ჰოლანდიელმა თავკაცმა **ჯონი ვან შიპმა** ის შემადგენლობა დაასახელა, რომელიც 9 ოქტომბერს ბათუმში „ჯვაროსნებსა“ და 12 ოქტომბერს სტოკჰოლმში შვედებს შეხვდება.

მართალია, ბერძენთა გვარები ფეხბურთის ქომაგებს ბევრს არაფერს ეუბნება, მაგრამ საყურადღებოა იმ კლუბების ჩამონათვალი, სადაც იქაური ლეგიონერები თამაშობენ: „ბენფიკა“, „ალკმაარი“, „შტუტგარტი“, „ბოხუმი“, „ნორვიჩი“, „ლივერპული“, „დიუსელდორფი“, „კოპენჰაგენი“, „ტრაბზონსფორი“, „ფენერბახჩე“, „ტვენტე“, „უტრეხტი“.

ⓞ ფორუმი

# ვიცავთ ტიტულს!

**ევროპის ორგზის ჩემპიონი – საქართველოს 18-წლამდელ მორაგბეთა ნაკრები ტიტულს კალინინგრადში იცავს, სადაც მარტყოფის ბაზაზე მოწყობილი ორკვირიანი შეკრებისა და „იუნკერების“ ესპუართა გუნდთან მართვადი ბრძოლის გამართვის შემდეგ ერთადერთი ლეგიონერით გაემგზავრა, რითაც სათამაშო პრაქტიკის დეფიციტი ნაწილობრივ აღმოფხვრა.**




უმცროს „ბორჯღალოსანთა“ პირველი მეტოქე – ჩეხეთი ქვედა დივიზიონიდან დაწინაურდა და, წესით, მეოთხედფინალში მასთან პრობლემები არ უნდა შეგვექმნას. შედარებით მეტი ოფლისღვრა, სავარაუდოდ, ნახევარფინალში მოგვიწევს რუსეთ-ბელგიას შორის გამარჯვებულთან, თუმცა, დაგვეთანხმებით, არც აღნიშნულ წყვილში საუკეთესოს უნდა მიეცეს წარმატების შანსი.

რაც შეეხება სარუსეთო შემადგენლობას, სამწვრთნელო შტაბმა თავკაც **ზურაბ ამონაშვილის, პაატა მაისურაძისა** (შეტევა) და **თორნიკე ბუბუტეიშვილის** (შერკინება) შემადგენლობით 43-კაციანი გაფართოებული კრებულიდან საბოლოო არჩევანი შემდეგ 26 რჩეულზე შეაჩერა:

**პირველი ხაზი:** გიორგი მამაიაშვილი („ლელო“), ლაშა ფხაკაძე („აია“), ნიკოლოზ ბაბუნაშვილი („ლელო“), თორნიკე ბოყოველი („ლელო“), ბადრი ციხისთავი („ლელო“), ირაკლი აფციაური („გრენობლი“):

**მეორე ხაზი:** ნიკოლოზ კინწურაშვილი („ლელო“), ნიკა ლომიძე („ხარები“);

**მესამე ხაზი:** გიგი ქურხული („ვეფხვები“), რატი ზაზაძე („არმაზი“), თორნიკე ბაიხოიძე („ხვამლი“), ლაშა ციხისთავი („ლელო“), ნიკოლოზ სუთიძე („ლელო“), გიორგი გერგედავა („აია“);

9: დავით ხუროშვილი („ლელო“), ალექსანდრე ჯიღაური („ლელო“);

10: პეტრე ხუციშვილი („ლელო“), დავით იმნაძე („იუნკერები“);

12-13: დიტო ბერაია („ლელო“), ზურაბ ონიანი („არმაზი“), თორნიკე კახოიძე („ლელო“), ლაშა ცხოვრებაძე („ვეფხვები“);

11-14: შალვა აფციაური („ლელო“), საბა არჩვაძე („ლელო“);

15: ვაჟა მიქაძე („ლელო“), ლუკა სახელაშვილი („ლოკომოტივი“).

ⓞ ევროლიგა

# მწარე ძირი

**წარუმატებლად ჩაება ევროლიგის ახალ სეზონში მისი ერთ-ერთი ფავორიტი ცსკა, რომელიც ყოფილი მწვრთნელის – ეტორე მესინას ამჟამინდელ შეგირდებთან – „მილანთან“ იტალიაში დამარცხდა – 74:84, არადა, პირველი პერიოდი 8 ქულით მოიგო.**




უჩვეულოდ სუსტად ითამაშა **თორნიკე შენგელიამაც,** რომელმაც მხოლოდ 7 ქულას (9-დან 1 ზუსტი ტყორცნა, 6-დან 5 ჯარიმა), 6 მოხსნასა და 2 ჩაჭრას მოუყარა თავი.

რაც შეეხება მასპინძლებს, მათ ამერიკელმა შილდსმა და ესპანელმა როდრიგესმა ულიდერეს 17-17 ქულით, ხოლო მელიმ პარტნიორებს 15 ქულა შეაშველა. სასტარტო შეხვედრებიდან აღსანიშნავია მადრიდის „რეალის“ საშინაო გამარჯვება მოქმედ გვირგვინოსან „ეფესთან“ – 82:69. „სამეფო კლუბმა“ საწყის მეოთხედშივე გატეხა მეტოქე, როცა 17 ქულით დაწინაურდა, ხოლო სტუმართაგან მხოლოდ ლარკინი ჰგავდა საკუთარ თავს – 21 ქულა.

◉ გუშინდელი ფოსტიდან

# უღირსი შვილის უმადურობა

**ამა წლის 22 სექტემბერს თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა წერილი „მადლიერება“, რომელიც ჯანსუღ, ლუიზა და ჯიმი ჩარკვიანების შესახებ მოგვითხრობს.**


◉ სარედაქციო ფოსტიდან

მადლიერება

ახლოვდება ჩემი ძმის, ჯანსუღ ჩარკვიანის დაბადების დღე, 30 სექტემბერი, რომელ დღესაც სამივე, მე, ჩემი და ლუიზა და ჯანსუღი ვართ დაბადებულები. ჯანსუღი გახდებოდა 90 წლის, ლუიზა — 88 წლის და მე ვხდები 85-ის. ერთხელ ჯანსუღმა პატრიარქს მოახსენა, რომ სამივე ერთ დღეს ვართ დაბადებული. პატრიარქმა საეკლესიო კალენდარში ნახა და აღმოჩნდა, რომ 30 სექტემბერი მოწამე პისტის, კიდევ სხვა მოწამეთა და, მათ შორის, მოწამე აღათოკლიას ხსენების დღე ყოფილა... ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგან დედაჩემს პისტი ერქვა, ხოლო ბებიაქალს, რომელმაც ამშობიარა, აღათი. დედამ თავისი სახელობის დღეს გააჩინა სამივე შვილი და მეც ამ დღეს მინდა ეს წერილი ჯანსუღის სახელით დავწერო და ყველაფერი, რასაც აქ ვიტყვი, ჯანსუღის ფიქრები და აზრებია, რაშიც მეც ვეთანხმები. მას ძალიან უყვარდა პატრიარქი და თვლიდა, რომ ის საქართველოს ღმერთმა მოუვლინა. აქვე ვიტყვი იმასაც, რომ ჯანსუღი უდიდეს პატივს სცემდა ყველას, ვინც საქართველოსთვის იღვწის. ამ მხრივ იგი ძალიან აფასებდა ბიძინა ივანიშვილს, რადგან მიაჩნდა, რომ წვლილი, რაც მან საქართველოს გადარჩენასა და განვითარებაში შეიტანა, სრულიად აუწონავია. უყვარდა და ლექსებიც აქვს მიძღვნილი. გარდა ამისა, პირადი ურთიერთობა ჰქონდა ბატონ ბიძინასთან და უსაზღვროდ მადლობელი იყო მისი და ამ მადლიერების გრძნობით წავიდა ამ ქვეყნიდან.

მადლობელი იყო, პირველ რიგში, საქართველოსთვის და ასევე პირადად მისი ოჯახისადმი გაწეული აუწონავი დახმარებისთვის. თითქმის 20 წლის განმავლობაში, ბიძინა ივანიშვილი არ ივიწყებდა საზოგადო მოღვაწეებს და დაფასებულ ადამიანებს და მატერიალურად ეხმარებოდა. მათ შორის იყო ჯანსუღიც.

შემდეგ იყო ის, რომ მამუკა, რომელსაც სასწრაფო და ძალიან ძვირად ღირებული ოპერაცია სჭირდებოდა, ბოლომდე დააფინანსა და შესაძლებლობა მისცა, ვენაში წასულიყო და საჭირო ოპერაციები გაეკეთებინა. ფაქტობრივად, სიცოცხლე აჩუქა. როგორ შეიძლება ამისთვის მადლობელი არ იყოს მამა და, მით უმეტეს, ჯანსუღი, რომელსაც არასდროს ავიწყდებოდა გვერდზე დგომის და ხელის გამართვის ყადრი.

ჯანსუღ, ლუიზა და ჯიმი ჩარკვიანები

კიდევ იმისთვის იყო მადლობელი, რომ ბატონმა ბიძინამ არ დაივიწყა მისი ღვაწლი, არც მამუკასი და აქტიური მონაწილეობა მიიღო მათი ვარსკვლავის გახსნაში.

ჯანსუღი ველარ მოესწრო, მაგრამ ვიცი, რომ იმ ქვეყნიდანაც იგრძნო პატრიარქისა და ბატონი ბიძინას გვერდში დგომა და სიყვარული. პატრიარქმა სამების ეკლესიაში დაასვენებინა ჯანსუღი, ხოლო ბატონმა ბიძინამ ჯანსუღის დაკრძალვაში მიიღო მონაწილეობა... სანამ ჩვენ ცხედარს მივასვენებდით, ის უკვე მთაწმინდაზე დაგვხვდა, გათხრილ საფლავთან იდგა, როგორც ჭირისუფალი.

ამისთვის უკვე მე უნდა ვუთხრა მას მადლობა. პატრიარქთან მე ჩემი ურთიერთობა მაკავშირებს და მან იცის ჩვენი მისდამი პატივისცემის შესახებ.

რაც შეეხება ბატონ ბიძინას, მასთან პირადი ურთიერთობა არ მქონია და მინდა, რომ არა მხოლოდ ჯანსუღის, არამედ ჩემი სახელითაც გადავუხადო მადლობა, ამდენი ყურადღებისთვის, ჩემი ძმის დაფასებისთვის, ერთგულებისთვის, ჩემი სამშობლოს სიყვარულისთვის, მასზე ზრუნვისთვის და ვინ მოთვლის კიდევ რისთვის. ვისურვებდი, რომ ეს მადლობა პირისპირ მეთქვა და თუ ექნება ჩემთან შეხვედრის სურვილი, კიდევ ბევრი მაქვს მოსაყოლი სხვადასხვა თემაზე, მით უმეტეს, არჩევნები მოგვადგა კარს და მისთვის, ისევე როგორც ჩემთვის, მნიშვნელოვანია, თუ რა ბედს ეწევა ჩემი ქვეყანა.

იმედს ვიტოვებ, რომ ეს შეხვედრა შედგება,

საუკეთესო სურვილებით,

ჯიმშერ ჩარკვიანი

ნამდვილად გაკვირვებული დავრჩით, ჩვენი საზოგადოების ამ ფენას მართლაც როგორი დახმარება და თანადგომა გაუწია ბიძინა ივანიშვილმა, მაშინ, როდესაც ამ ოჯახების წევრები მდიდრულად ცხოვრობდნენ და ყოველთვის პრეტენზიები და ამბიციები აწუხებდათ, განსაკუთრებით თაკო ჩარკვიანს, რომლის ოჯახს სერიოზული ბიზნესი და დიდი ქონება გააჩნია და სრულიად დაუმსახურებელი პრეტენზიები ჰქონდა თანამდებობებზე, თუმცა როგორც ყოველთვის, ეშლება — ქვეყნის ტერიტორიების დამკარგავს და უზნეო, მოღალატე კრიმინალ ადამიანს სრულ მხარდაჭერას უცხადებს.

უნდა იცოდეთ, თაკო ჩარკვიანმა თანაკლასელის ოჯახს, პირველ საავადმყოფოში („არამიანცში“) პრივატიზაციის დროს ნეიროქირურგიული განყოფილება ასწაპნა, შემდეგ კი ოპერაციების თანხებს ართმევდნენ ექიმებს, საცოდავ კაპიკებსაც არ აძლევდა, რის გამოც ეს განყოფილება დაიხურა. ჩვენ უბრალო ადამიანები ვართ და ვისურვებდით ამ წერილს „უმადურობა“ უწოდოთ და იცით, რატომ:

**„რა ყვავმა ვარდი იშოვა, თავი ბულბული ჰგონია“!**

**მ. იაშვილი,**
**დ. წივწივაძე,**
**გ. ძოწენიძე**

**P. S. მთაწმინდის პანთეონიდან ბევრი ადამიანი გადმოასვენეს. მივმართავთ ჩვენს საზოგადოებას, ხალხმა განსაჯოს ჯანსუღ ჩაკვიანი უნდა იყოს მურმან ლებანიძის, შოთა ნიშნიანიძის და ლადო ასათიანის გვერდით თუ მათზე მაღლა?**

# ხელფასების ზრდის ჯადოსნური კომბინაცია

**მთავრობა ოფიციალური სტატისტიკის მოშველიებით ამტკიცებს, რომ ჯერ კიდევ პანდემიის პირობებში მყოფ ქვეყანაში ხელფასები იზრდება და საკმაოდ მაღალი მაჩვენებლითაც. მოსახლეობას და ექსპერტებს არც სტატისტიკის სჯერათ და მით უმეტეს არც მთავრობის ფიცისა.**

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, „საქსტატის“ ინფორმაციით, 2021 წლის მეორე კვარტალში საქართველოში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 15.5 პროცენტით, ანუ 177.9 ლარით გაიზარდა და 1 328.0 ლარი შეადგინა.

**საქმიანობების სახეების მიხედვით შედარებით მაღალი ხელფასი აღირიცხა შემდეგ დარგებში: საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები — 2 354.7 ლარი (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 15.4 პროცენტით); ინფორმაცია და კომუნიკაცია — 2 173.0 (გაიზარდა 12.4 პროცენტით); მშენებლობა — 2 006.1 ლარი (გაიზარდა 23.7 პროცენტით); პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები — 1 919.5 ლარი (გაიზარდა 7.4 პროცენტით).**

**უწყების მონაცემებით, 2021 წლის მეორე კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასი ბიზნესსექტორში 214.0 ლარით გაიზარდა და 1 389.6 ლარი შეადგინა. საქმიანობის სახეების მიხედვით ყველაზე მაღალი ხელფასი, 2 209.4 ლარი ინფორმაციისა და კომუნიკაციის დარგში, ასევე 2 177.4 ლარი პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების დარგში დასტურდება.**

ეკონომიკის მინისტრი **ნათია თურნავაც** ამტკიცებს, რომ ეკონომიკის გაჯანსაღების კვალობაზე, მთელ რიგ სექტორებში დაქირავებით დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება გაუმჯობესდა.

**„ეს ძალიან მნიშვნელოვანია და პრინციპში გარდაუვალია, როდესაც ეკონომიკა ჯანსაღდება. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ეს იყოს ინკლუზიური და უფრო მეტად აისახოს თითოეული ოჯახის კეთილდღეობაზე. რა თქმა უნდა, ეს უნდა აისახოს შრომის ანაზღაურების ზრდაზეც. ტენდენცია დაწყებულია და მივესალმებით ამას“,** — აღნიშნა თურნავამ.

ერთი მხრივ, მთავრობა ამტკიცებს, რომ შემოსავლები, ხელფასები და სამუშაო ადგილები მომატებულია, მეორე მხრივ, ხალხი მასობრივად საწინააღმდეგოს ამბობს. კითხვები აქვთ სპეციალისტებსაც. ეკონომიკის დოქტორის **პაატა აროშიძის** აზრით, შრომის ბაზარზე ანაზღაურების ზრდა იშვიათობაა და არ შეიძლება, ამას სტატისტიკაზე ასეთი გავლენა მოეხდინა.

**„საკმაოდ უცნაური სტატისტიკაა, ალბათ, განმარტავენ, რა მეთოდოლოგიით დაითვალეს. წლის შუა პერიოდში, ამ პერიოდში ხელფასების ზრდა უცნაურია, არ მსმენია, სადმე მაღალი მაჩვენებლით გაეზარდათ ადამიანების შრომის ანაზღაურება. შეიძლება, ცვლილება შეეხო საჯარო სფეროში დასაქმებულთა დაბალ რგოლს, ასევე — დასუფთავების სპეციალისტებს, საბავშვო ბაღის თანამშრომლებს, პოლიციელებს ან ჯარის წარმომადგენლებს, მაგრამ ეს 15%-იან ზრდას ვერანაირად ვერ გამოიწვევდა. მით უმეტეს ვიცით, რომ კერძო სექტორში არ გაზრდილა — ტურიზმი წარმატებული არ იყო და არც სამშენებლო, რადგან რეალიზაცია არ არის გაზრდილი. ამდენად, საშუალო ხელფასის მოცულობაში ნახტომისებური ცვლილება გაუგებარია. გასაშუალებულ მაჩვენებელს გვთავაზობენ. არ შეიძლება, სახელმწიფო მოხელის ძალიან მაღალი ხელფასი და პრემია ქვედა რგოლის თანამშრომელთა ხელფასთან შეაჯამო. ეს არ არის რეალური სტატისტიკა“,** — განაცხადა აროშიძემ.

**ბექა დანელია**

# 96 წლის ნაცისტი მიიმალა...

**გერმანულმა** პოლიციამ დააკავა შტუტგოფის საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი მდივანი, 96 წლის ირმგარდ ფურხნერი, რომელიც 30 სექტემბერს არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, რის შემდეგაც მის დასაკავებლად ორდერი გაიცა.

ფურხნერი 1943-45 წლებში მუშაობდა ბანაკის კომენდანტის მდივნად. მას ბრალად ედება 11 ათასზე მეტი ადამიანის მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა. საქმე განიხილებოდა არასრულწლოვანთა საქმეთა პალატაში, რადგან დანაშაულების მომენტისთვის ბრალდებული 21 წლის ჯერ არ იყო.

მედიის ცნობით, 30 სექტემბერს, დილით, ქალმა ჰამბურგთან მდებარე მოხუცებულთა თავშესაფარი დატოვა და ტაქსით ნორდერშტედტ-მითეს სადგურში მივიდა, სადაც ის დააკავეს.

ნაცისტების საკონცენტრაციო ბანაკი შტუტგოფი 1939 წელს აშენდა პოლონეთის ტერიტორიაზე, გდანსკის მახლობლად. ბანაკში დაიღუპა 65 ათასამდე ტყვე. შტუტგოფის ტუსაღებზე ტარდებოდა სამედიცინო ექსპერიმენტები, ადამიანების სხეულისგან ამზადებდნენ საპონს. ამ დროისათვის საკონცენტრაციო ბანაკის ადგილზე განთავსებულია მუზეუმი.

## სანთელი

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი**

**რევაზ ლოლიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

# საქართველოში უალკოჰოლო ღვინის წარმოებას დაიწყებენ

**2023 წლიდან ადგილობრივ ბაზარზე დაგეგმილია ალკოჰოლიანი სასმელების სავალდებულო სერტიფიცირება. ღვინის კატეგორიებს დაემატება ახალი — „დეალკოჰოლიზებული ღვინო“, რომლის წარმოებისთვისაც დაშვებული იქნება შესაბამისი ტექნიკა, აღიარებული ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ.**

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტმა 15 სექტემბერს იმსჯელა სხდომაზე, სადაც განიხილეს საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივები — კანონპროექტები: **„ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“**. საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით, 2023 წლიდან ადგილობრივ ბაზარზეც იქნება შემოღებული



ალკოჰოლიანი სასმელების სავალდებულო სერტიფიცირება. ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის ლევან მეხუზლას თქმით, კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, „დეალკოჰოლური ღვინო“ დაემატება სპეციალური ღვინოების კატეგორიებს და შემდეგში უკვე სერტიფიცირება სააგენტოს მიერ მოხდება.

**„პარლამენტში ინიციატივა შეტანილია, ამ ეტაპზე განხილვა მიმდინარეობს. მარტივად რომ ავხსნათ, ეს არის ჩვეულებრივი ღვინო ყველა წესის დაცვით, გარდა იმისა, რომ ალკოჰოლს არ შეიცავს. მოგეხსენებათ, ალკოჰოლის გამო იზღუდება მოხმარება, ამიტომ შეიძლება შესთავაზო მომხმარებელს ალკოჰოლგამოცლილი სასმელი, რომელიც ასევე 100%-ით ღვინოა. ასეთი წარმოება მოითხოვს თანამედროვე და მაღალ ტექნოლოგიას, რის საშუალებით შეიძლება ალკოჰოლის მოცილება და დეალკოჰოლიზებული სასმლის მიღება. შესაბამისი გამოცდილება არსებობს ესპანეთში, პორტუგალიაში და სხვა, ძირითადად სამხრეთულ ქვეყნებში. ამის საწარმოო რესურსი ქართულ კომპანიებსაც აქვთ. ოჯახურ პირობებში ეს დანადგარი არ არის ხელმისაწვდომი, ამიტომ საოჯახო ფერმერულ მეურნეობა ამ სიახლეს ფეხს ვერ აუწყობს. როდესაც კანონპროექტი დამტკიცდება, სპეციალური ღვინოების კატეგორიებს „დეალკოჰოლური“ დაემატება და შემდეგში უკვე მოხდება სერტიფიცირება ჩვენს მიერ. შესაბამისობის სერტიფიკატს გავცემდით აქამდეც, ამ მხრივ არაფერი იცვლება“,** — განმარტა „კომერსანტთან“ ლევან მეხუზლამ.

რაც შეეხება უალკოჰოლო ღვინის წარმოებას, როგორც „კომერსანტისთვის“ გახდა ცნობილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიეროს კვლევით ცენტრში წლების განმავლობაში არაერთი გამოკვლევაა ჩატარებული, რომელთა თანახმადაც, ღვინოში ალკოჰოლის მოცილების შედეგად ფენოლური ნაერთების ჟანგვის საწინააღმდეგო პოტენციალი მნიშვნელოვნად მატულობს. სპეციალისტების განმარტებით, დამცავი ფუნქცია განსაკუთრებით გააჩნია წითელ ღვინოს, ანტოციანების შემცველობის გამო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველოში წითელი ღვინის დეალკოჰოლიზება თავისუფლად შეიძლება და მისი მარგებელი თვისებებიც შენარჩუნდება.

**მარი ჩიტაია**

**ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!**

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**



## ხელის თხოვნა საარჩევნო უბანთან

**აჭარაში, 52-ე საარჩევნო უბანთან, სადაც მოქალაქეები პოლიტიკურ არჩევანს აკეთებდნენ, ორმა ჟურნალისტმა საკუთარი ცხოვრებისეული არჩევანიც გააკეთა — აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტმა, გიორგი მიქელაძემ კოლეგას, TV-25-ის ჟურნალისტს, ია გოლიაძეს სთხოვა ხელი და თანხმობაც მიიღო.**

## EXPO 2020 DUBAI ოფიციალურად გაიხსნა



**საქართველო, მსოფლიოს 191 ქვეყანასთან ერთად, წლის ყველაზე მასტაბურ საერთაშორისო გამოფენა Expo 2020 Dubai-ზე მონაწილეობს, რომელიც გასულ წელს კოვიდ 19-ის პანდემიის გამო გადაიდო.**

გამოფენის მთავარი თემატიკაა — Connecting Minds, Creating the Future, რომელიც იყოფა შემდეგ ძირითად თემებად: **შესაძლებლობა, მობილობა და მდგრადობა**. საქართველოს პავილიონი განთავსებულია მდგრადი განვითარების სექციაში. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ექსპოზე ჩამოსულ მილიონობით დამთვალიერებელს შესაძლებლობა ექნება გაეცნოს საქართველოს კულტურასა და მემკვიდრეობას, ტურისტულ, ბიზნეს და საინვესტიციო შესაძლებლობებს. საქართველოს პავილიონში შესვლამდე სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ დაათვალიერონ ცნობილი ქართველების სტენდი, რომლებიც მრავალი წელია შთააგონებენ თაობებს, ხელს უწყობენ ქალთა გაძლიერებას, სპორტის, მეცნიერების, განათლებისა და მუსიკის პოპულარიზაციას.



## პელე საავადმყოფოდან გაწერეს, მაგრამ...

**„ფეხბურთის მეფე“ პელე, რომელსაც 4 სექტემბერს სან-პაულუს კლინიკაში ნაწლავზე განვითარებული სიმსივნე ამოკვეთეს საავადმყოფოდან გაწერეს.**

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ქიმიოთერაპიის კურსი უნდა ჩაიტაროს. ექიმების განცხადებით, ლეგენდარული ფეხბურთელის მდგომარეობა სტაბილურია.

## ისეთი დეფიციტია, ბენზინი რონალდუმაც ვერ იშოვა...

**ფეხბურთელ კრიშტიანუ რონალდუს მძღოლმა ბენზინგასამართ სადგურზე 7 საათი გაატარა, თუმცა Bentley-ში საწვავის ჩასხმა ვერ მოახერხა.** ვარსკვლავის მძღოლი დაცვასთან ერთად სადგურზე დღის 2 საათზე მივიდა. დაახლოებით 9 საათისთვის ისინი ისე წავიდნენ, რომ საწვავის ჩასხმა ვერ მოახერხეს.

**„ბევრი ფულის შემთხვევაშიც კი, რონალდუ იგივე ნავში აღმოჩნდა, როგორც ჩვენ“,** — წერს ადგილობრივი მედია. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში დიდ ბრიტანეთში საწვავის მომარაგების პრობლემაა, რადგან სატვირთო ავტომობილების დეფიციტი შეიქმნა. შედეგად ნავთობის კომპანიებს რამდენიმე ბენზინგასამართი სადგურის დახურვა მოუწია. პანიკაში მოსახლეობამ ბენზინის ქაოსური ყიდვა დაიწყო, რამაც სადგურებზე უზარმაზარი რიგები გამოიწვია.



## სიყვარული ძალსა შენსა...



**იაპონიის პრინცესა მაკო რიგით მოქალაქეზე, კეი კომუროზე იქორწინებს. სამეფო ოჯახის წევრის საქმრო, მისი ყოფილი კლასელი, ამჟამად ამერიკაში მცხოვრები ადვოკატია. ქორწილი 26 ოქტომბერს გაიმართება.**

რიგით მოქალაქეზე ქორწინებით, იაპონიის პრინცესა სამეფო წოდებასა და მოვალეობებზე უარს იტყვის. ადგილობრივი მედია წერს, რომ ქორწილის შემდეგ, წყვილი აშშ-ში გადავა საცხოვრებლად. იაპონიის პრინცესამ და მისმა რჩეულმა ერთმანეთი 2012 წელს, ტოკიოში, უნივერსიტეტში გაიცნეს.

## აპროტესტებენ აბორტის უფლების შეზღუდვას

**აშშ-ის მასშტაბით, 600-ზე მეტი დემონსტრაცია ჩატარდა** — ქალები აბორტის უფლების შეზღუდვას აპროტესტებენ.

**„ჩემი სხეული ჩემი არჩევანია“, „მე მიყვარს ის, ვინც აბორტი გაიკეთა“, „აბორტი პიროვნული არჩევანია და არა სამართლებრივი დებატი“,** — ეწერა დემონსტრანტთა პლაკატებზე. ტეხასში მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც, 6 კვირის შემდეგ, ორსულისთვის აბორტის გაკეთება იკრძალება.

## შაკირას ტახები დაესხნენ თავს

**სუპერვარსკვლავ შაკირას თავს ტახები დაესხნენ. შემთხვევა ბარსელონის პარკში მოხდა, სადაც კოლუმბიელი მომღერალი თავის 8 წლის ვაჟთან ერთად სეირნობდა. შაკირამ შემთხვევის შესახებ Instagram-ზე გამოქვეყნებული ვიდეორგოლების სერიაში მოყვა.**



მისი თქმით, მას ორი ცხოველი დაესხა თავს, ხელიდან ჩანთა გასტაცეს და გაიქცნენ. მოგვიანებით მომღერალმა ჩანთა იპოვა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ტახებმა „ყველაფერი გაანადგურეს“.

კატალონიაში ტახების პოპულაცია ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გაიზარდა. ამ ცხოველებს პრაქტიკულად ნებისმიერ გარემოში შეუძლიათ გადარჩენა. ბოლო მონაცემებით, ევროპაში ტახების რაოდენობამ 10 მილიონს გადააჭარბა და ქალაქებში ისინი სულ უფრო აგრესიულად იქცევიან.

## თინეიჯერებისთვის ბოტოქსი და ე.წ. ფილერი აიკრძალა

**ინგლისში ამოქმედდა ახალი კანონი, რომლის მიხედვითაც, 18 წლამდე ასაკის ადამიანები ბოტულინის ტოქსინის, იგივე ბოტოქსისა და ე.წ. ფილერების ინექციას ვეღარ შეძლებენ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტის ინფორმაციით, გასულ წელს, ბოტოქსის პროცედურა 41 ათასზე მეტმა 18 წლამდე ადამიანმა ჩაიტარა, „ფილერი“ კი, 29,300-ზე მეტმა გაიკეთა.**



კანონის ინიციატორების თქმით, მიზანი ახალგაზრდების არასასურველი ზიანისგან დაცვაა. იგივე რეგულაციების დაწესებას უელსი და შოტლანდიაც გეგმავენ, თუმცა, უცნობია, მიმართავს თუ არა მსგავს ზომებს ჩრდილოეთ ირლანდია.

## ღორები ბატების წინააღმდეგ

**ნიდერლანდებში, სხიპჰოლის (Schiphol) საერთაშორისო აეროპორტის ხელმძღვანელობამ ფრენების უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის სამსახურში ექსპერიმენტის სახით 20 ღორი აიყვანა. ღორებს 6 კვირით ორ ასაფრენ ბილიკს შორის არსებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე დაასახლებენ. სპეციალისტების თქმით, ღორები შეჭამენ შაქრის ჭარხლის ნარჩენებს, რომლებიც ბატებსა და სხვა ფრინველებს იზიდავს და ფრენებს საფრთხეს უქმნის.**

აეროპორტის ხელმძღვანელობის თქმით, ბატებს, თავიანთი ზომითა და რაოდენობით, თვითმფრინავისთვის დიდი ზარალის მიყენება შეუძლიათ. ექსპერიმენტის ავტორები სპეციალური რადარით შეადარებენ, როგორია აქტივობა უბნებზე, სადაც ღორები არიან და უბნებზე, სადაც ღორები არ არიან.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოზულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 6 ოქტომბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.1345; ევრო - 3.6310;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.2385;
100 რუბლი - 4.2825; თურქული ლირა - 0.3536;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8474;
1000 სომხური დრამი - 6.4397.

**ამინდი 4 ოქტომბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +8, | დღე | +19 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +6, | დღე | +16 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +12, | დღე | +20 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +8, | დღე | +17 |
| თბილისი: | ღამე | +12, | დღე | +17 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge